

ბათუმის უნივერსიტეტი



შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №6, ივნისი, 2011.

უნივერსიტეტში კურსდამთავრებულთა საზეიმო გასილვება მოეწყო



დეკანოზმა მამა შიომ, რექტორის მოადგილეებმა ნათია ნიკლაშვილმა, ირაკლი ბარამიძემ, დეკანებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა გზა დაულოცეს და წარმატებები უსურვეს. უმაღლესი სასწავლებელი წელს 499-მა სტუდენტმა დაამთავრა. წარჩინებული სწავლისა და სტუდენტურ ცხოვრებაში შეტანილი წვლილისათვის 87 კურსდამთავრებულს სიგელები გადაეცა. კურსდამთავრებულთა საზეიმო გასილვება კონცერტით დასრულდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ტბეთმა“, გოგონათა და ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა, ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა და უმაღლესი სასწავლებლის სხვა შემოქმედებითმა ჯგუფებმა.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში კურსდამთავრებულთა საზეიმო გასილვება მოეწყო. ახალგაზრდებს უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოზა ბაკურიძემ, წმინდა ეკატერინეს სახელობის ტაძრის წინამძღვარმა,

დიდი ბრიტანეთის ელჩის მოადგილემ დაბაკილანა საჯარო ლექცია წაიკითხა

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ელჩის მოადგილე დაგ მაკმილანი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა. დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელმა საჯარო ლექცია წაიკითხა ბრიტანეთის სახელმწიფოს მოწყობის, სამართლებრივი სივრცისა და ქართული კონსტიტუციონალიზმის საკითხებზე. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, ელჩის მოადგილემ დაგ მაკმილანმა აქტუალურ შეკითხვებს უპასუხა.



მემორანდუმი ვილნიუსის სამართლისა და ბიზნესის საერთაშორისო სკოლასთან



ნომიკა და ბიზნესის“ ფარგლებში ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ვილნიუსის სამართლისა და ბიზნესის საერთაშორისო სკოლას შორის. ხელშეკრულება ხელს შეუწყობს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლით პროგრამების განხორციელებას, აკადემიური პროგრამების შემუშავებას, ერთობლივი კონფერენციების, სემინარებისა და ვორქ-შოფების ჩატარებასა და ბიბლიოთეკის ონლაინ რეჟიმში გამოყენებას.

II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ტურიზმი: ეკო-

ღვინის ტურიზმი

II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“ მალაშვილიანი აჭარის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით მუშაობა ქედის რაიონში განაგრძო. კონფერენციის მომხსენებლებმა, ახალი ტურისტული პროდუქტის „ღვინის ტურის“ ფარგლებში, ისტორიული ძეგლები დაათვალიერეს, საოჯახო მარნები მოინახულეს და ყურძნის სხვადასხვა უნიკალური ჯიშისგან დამზადებული ღვინოები დააგემოვნეს. სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ ასევე გაცნობოდ-



ნენ ადგილობრივ სამზარეულოსა და ხალხურ შემოქმედებას.

მხიარულთა და საზრიანთა კლუბის საუკეთესო გუნდი გამოვლინდა

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხიარულთა და საზრიანთა კლუბის გუნდებს შორის შეჯიბრი ჩატარდა. პირველობისათვის უმაღლესი სასწავლებლის სამი გუნდი - განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის „ბუს“, საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის „კარიკატურა“ და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის „ბუნწულები“ იბრძოდა. მისაღმების, კითხვა-პასუხისა და საშინაო დავალების ნომრების წარმოდგენის შემდეგ ჟიურიმ პირველობა გუნდ „ბუს“-ს მიანიჭა და თასი გადასცა. მან-სან-კანის საუკეთესო მოთამაშეებით უნივერსიტეტის ნაერ-



ბი დაკომპლექტდება, რომელიც ქვეყნის მასშტაბით გამართულ შეჯიბრებებში მიიღებს მონაწილეობას.

სტუდენტთა და ახალგაზრდა მესწიერთა კონფერენცია „აჭარა, მდგრადი განვითარება, მომავალი...“

გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ორგანიზებით გამართული სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია „აჭარა, მდგრადი განვითარება, მომავალი...“. კონფერენცია მიზნად ისახავდა მდგრადი განვითარების საკითხებში სტუდენტი-ახალგაზრდობის ცნობიერების დონის განსაზღვრას, ამაღლებასა და ამ მიმართულებით მათი საქმიანობის სტიმულირებას. ახალგაზრდა მეცნიერებმა მოხსენებები ეკოლოგიის, ბიოლოგიისა და ტურიზმის სექციებში წარმოადგინეს, რომლებიც კრებულის სა-



ხით უკვე დაიბეჭდა. სამეცნიერო სესიის დასრულების შემდეგ სტუდენტებმა მტირალას ეროვნული პარკი დაათვალიერეს.

სამეცნიერო გამოცდაები

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაზაფხულის სემესტრის გამოცდები 13 ივნისიდან დაიწყო. სეზონთან ერთად, ეს უმაღლესი სასწავლებლისთვისაც ერთ-ერთი ცხელი დროა. პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც სემესტრის მანძილზე სტუდენტების სამსახურში იყვნენ, გამოცდისგან შრომის შესაბამის შედეგს ელოდებიან. ერთგვარ შედეგს ელოდებიან თვით სტუდენტებიც, ოღონდ რაც დათესეს, იმას მოიმიკიან. გამოცდაზე გასვლამდე სტუდენტმა მინიმუმ 11, ხოლო მაქსიმუმ 60 ქულა უნდა დააგროვოს. სტუდენტი, რომელმაც 51 ქულა სემესტრის მანძილზე დააგროვა და თუ დამაკმაყოფილებელი მისთვის მართლაც დაამაკმაყოფილებელია, შეუძლია ზედმეტი მღელვარებისგან თავი შეიკავოს. თუმცა, როგორც ზოგიერთი მათგანი ამბობს, თუ სწავლა, ბოლომდე სწავლა უნდა იყოს: „მიმდინარე შეფასებაში 56 ქულა მაქვს და გამოცდაზე რატომ არ უნდა გავიდე? მთელი სემესტრის მანძილზე ვსწავლობდი და ბუნებრივია, ფრიადისთვის ან ძალიან კარგი შეფასებისთვის ვიბრძვი. შენს ადგილას გამოცდაზე არ გავალო, ისეთები მეუბნებიან, რომლებიც ან გამოცდაზე საერთოდ არ არიან დაშვებულები, ან კიდევ კურსის გავლა რჩებათ. მათთვის ეს ქულა მისაღებია, მაგრამ ჩემთვის არა“, - ამბობს სტუდენტი ნინო გოგიტიძე. როგორც სტუდენტები ამბობენ, ისინი ყველაზე მეტ პასუხისმგებლობას იმ გამოცდების მიმართ განიცდიან, რომელსაც უნივერსიტეტში არსებული საგამოცდო ცენტრი იბარებს. მათივე თქმით, მღელვარებაც სწორედ მაშინ მატულობს, როცა ოპერატორი

ქულებს აჯამებს. 16 ივნისი... დღის სამი საათი... უნივერსიტეტის ფიზკულტურის დარბაზში გამოცდა განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის (გამომცდელი ქალბატონი შორენა მახაჭაძე) და საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის (გამომცდელი ქალბატონი ქეთევან ინაშარიძე) სტუდენტებს უტარდებათ. სტუდენტები მითითებულ ადგილას სხდებიან. დამკვირვებელი საგამოცდო ტესტს არიგებს. ახალგაზრდები ათვალთვლებენ, ჯერ გვერდების რაოდენობას არკვევენ და წერას იწყებენ. ექვსი სავარაუდო პასუხიდან მართებული მხოლოდ ერთია. როგორც ისინი ამბობენ, დამაბნეველიც მხოლოდ ამდენი სავარაუდო პასუხის არსებობაა. ფიზკულტურის დარბაზში სრული სიჩუმეა. აქ ისეთი სიტუაციაა, როგორც გამოცდის მსვლელობას შეესაბამება. დამკვირვებლებთან ერთად გამოცდის მსვლელობას საგამოცდო ცენტრის დირექტორი, ქალბატონი ივთი დიასამიძე აკონტროლებს. მოკლედ, ერთი გაფრთხილება და მეორეჯერ, უკვე გამოცდიდან მოხსნილი ხარ. რამდენიმე სტუდენტს გამოცდის დროს პროფესორ-მასწავლებლისადმი კითხვაც ჰქონდა. პასუხიც მარტივად მიეცათ - სწორი პასუხი აბსოლუტურად ყველა დავალებაშია და უნდა მოძებნოთ! გამოცდა პირველი საინჟინრო-ტექნოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა დაასრულეს. სტუდენტთა უმატესობა შედეგით კმაყოფილია. მოკლედ, როგორც სტუდენტები



დასაწყისი 1-33.

ამბობენ, მთავარია დადგენილი ზღვარი გადალახეს და გამოცდა ჩაბარებულად ეთვლებათ. ის სტუდენტები, რომლებიც გამოცდას რუსთაველიანობაში აბარებდნენ, როგორც ჩანს ვრცელმა პოემამ საკმაოდ შორს გაიტაცეს. მოკლედ, მოგზაურობა რუსთაველის პერსონაჟებთან ერთად, ტარიელის, ავთანდილის, ნესტანისა თუ თინათინის სიტყვებით სიყვარულის საგალობლის მღერა ხომ მარტივად დასასრულებელი არ არის... რთულია დიდი შოთას სიბრძნეს ჩასწვდეთ. მოკლედ, სტუდენტთა უმრავლესობასაც გამოცდისთვის გამოყოფილი ორი საათი თითქმის სრულად დასჭირდა. შედეგით ზოგი კმაყოფილია, ზოგიც უკმაყოფილო... მოკლედ, განმეორებითი გამოცდები და კურსის გავლა ნინაა.

27 იენისი... დილის 9 საათი... გამოცდა სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებს უტარდება. მრავალრიცხოვან აუდიტორიას რამდენიმე დამკვირვებელი აკვირდება. გამოცდელი ბატონი დავით გაბაიძე გახლავთ. დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ბატონმა მურმან გორგოშაძემ საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელს დროის ნახევარი საათით გაზრდა თხოვა, ეს ყველაფერი კი ტესტის ვრცელი მოცულობით დაასაბუთა.

სტუდენტები გამოცდას თანდათან ტოვებენ. აქ მაქსიმალური ქულა – 100 დაფიქსირდა. გახარებული გოგონას სიხარულს, საზღვარი არ ქარდა.

სტუდენტებითაა გადაჭედილი მრავალრიცხოვანი აუდიტორიებიც. „ჩავაბარე“, „კურსის

გავლა დამიტოვა“, „მხოლოდ ერთი საკითხი არ ვიცოდი“, „რაც ვიცოდი, ის შემიხვდა“, „ურთულესი ტესტი იყო“, „იმედი არ მაქვს დადებითი შეფასება დამინეროს“, „რაც იქნება, იქნება...“ და სხვა – ეს იენისის თვეში უნივერსიტეტში არსებული რეალობაა.

გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტს“ საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი, ქალბატონი ივლით დიასამიძე ესაუბრება:

– ქალბატონი ივლით, უკვე სამი წელია, რაც გამოცდების ჩატარების ამგვარი სისტემა დაინერგა. თქვენი შეფასება...
– გამოცდების ტესტური ჩატარების სისტემა მთელ მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია, ამიტომაც სამი წლის წინ დანერგული ეს სიახლე პროგრესული ნაბიჯია უნივერსიტეტის ცხოვრებაში.
– საგამოცდო ცენტრის დირექტორად თქვენ სულ ახლახანს დანიშნეთ. მიმდინარე ხელმძღვანელობის თან რაიმე სიახლეებიც ხომ არ ახლავს?
– საგამოცდო ცენტრს ჩამოყალიბებიდან ამა წლის გაზაფხულამდე ყველა საათის ცნობილი და საყვარელი პროფესორებმა, ბატონი ონი-სე სურმანიძე ხელმძღვანელობდა. ის მაღალი პროფესიონალიზმითა და დიდი თავდადებას უძღვებოდა ცენტრის საქმეებს. იმედია, მე ბატონი ონი-სე საქმიანობის ღირსეული გამგრძელებელი ვიქნები. რაც შეეხება სიახლეებს, მიმდინარე სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან საგამოცდო ცენტრი აფასებს არა მხოლოდ სემესტრული გამოცდებს, არამედ რეიტინგულ ნერებსაც. გარდა ამისა, შეიცვალა ტესტირების ადრეული ფორმა, სტუდენტის ღრმა ცოდნის შეფასებისათვის დაინერგა მრავლობითპასუხიანი ტესტური სისტემა, რაც ფუნდამენტურად გამორიცხავს

სტუდენტის მიერ ინტუიციურად შემოხაზვის მექანიზმს.

– რას იტყვით საგამოცდო ცენტრში ჩატარებული გამოცდების ობიექტურობაზე?
– საგამოცდო ცენტრში არსებობს მხოლოდ ორი მხარე – სტუდენტი და ტესტი, აქედან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ



რამდენად ობიექტურია საგამოცდო ცენტრში ჩატარებული გამოცდა. ნებისმიერი ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში, სტუდენტს საშუალება აქვს მიმართოს სააპელაციო კომისიას და დაიცვას საკუთარი უფლებები.

– როგორ ფიქრობთ, საგამოცდო ცენტრში ჩატარებული გამოცდების წინაშე სტუდენტი უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობს?
– ვფიქრობ, რომ ნებისმიერი გამოცდის მიმართ სტუდენტი დიდ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს. თუმცა შესაძლოა საგამოცდო ცენტრში ჩატარებული გამოცდისადმი პასუხისმგებლობა გაცილებით დიდია, რადგანაც აქ ყოველგვარი სუბიექტივიზმი გამო-

რიცხულია.

– სულ რამდენ გამოცდას აბარებს საგამოცდო ცენტრში სტუდენტი?
– სტუდენტი საგამოცდო ცენტრში მინიმუმ ერთს, ხოლო მაქსიმუმ ხუთ გამოცდას აბარებს.

– ამა თუ იმ საგანის საგამოცდო ცენტრში ჩატარების დანიშვნა ვის კომპეტენციაში შედის?
– ყოველი სემესტრის დასაწყისში საგამოცდო ცენტრი დეპარტამენტებს გადასცემს განაცხადის ფორმას, რომელშიც უნდა მიუთითონ იმ საგანთა ჩამონათვალი, რომლებიც ცენტრში უნდა ჩატარდეს. ამის შემდეგ მიმდინარეობს გარკვეული პროცედურები, თუ რა სახით და როდის უნდა იქნას ნარმოდგენილი ტესტები და ა.შ.

– როგორია საგამოცდო ცენტრის ახლად-დანიშნული ხელმძღვანელის სამომავლო მიზნები, ამოცანები და პერსპექტივები...
– საგამოცდო ცენტრს აქვს სამომავლო ამოცანები, თუმცა ისინი ჯერ კიდევ მსჯელობის და დისკუსიის საგანია, ამიტომაც უფლებას ვიტყვებ ამ ეტაპზე არ ვისაუბრო მათ შესახებ.

მოკლედ, სტუდენტებს წინ ცხელი ზაფხული ელოდებათ. მათ, ვისაც კურსის გავლა რჩებათ, ამბობენ, რომ მიმდინარე წლის ზაფხულში მაქსიმალურად დაისვენებენ, სექტემბრიდან კი მეცადინეობას ახალი შეპართებით შეუდგებიან.

სტუდენტებს საზაფხულო არდადეგებიც დაგეგმილი აქვთ – ვინ სად მიდის და ვინ სად. რაც მთავარია, არც მეგობრობა ავინყდებათ. ერთმანეთს ამა თუ იმ სოფელში ეპატიუებიან და ტრადიციულ გამასპინძლებასაც პირდებიან.

სტუდენტთა საპენსიარო კონფერენცია - 2011

დასრულდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის მიერ ორგანიზებული „სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია - 2011“. ათდღიან კონფერენციაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის 129 სტუდენტი მონაწილეობდა. სამართლის, ეკონომიკური მიმართულებების, ფსიქოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობათა, ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, გეოგრაფიის, ჯანდაცვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, პედაგოგიის, ფილოსოფიის, ევროპეისტიკის, სლავისტიკისა და აგრარული ტექნოლოგიების სექციებში ნარმოდგე-

ნილი საუკეთესო ნაშრომები სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომებში დაიბეჭდება, ხოლო კონფერენციის ყველა მონაწილეს სერტიფიკატი გადაეცემა.



დისკუსია მრგვალ მაგიდასთან



ისტორიის, ანთროპოლოგიის, ლიტერატურის და ლინგვისტიკის ინოვაციური ასპექტების შესწავლა. მკვლევარებმა მრგვალ მაგიდასთან მეცნიერების სხვადასხვა დარგის საკითხები განიხილეს. სემინარები, რომლებიც შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბულგარეთის სამხრეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის „ნეოფიტ რილსკისა“ და სტუდია „ანთროპოს“ ორგანიზებით გაიმართა, ტრადიციულ სახეს მიიღებს და ყოველ წელს ჩატარდება.

ქართველმა და ბულგარელმა მეცნიერებმა რსუ-ში სემინარები ჩატარეს თემებზე: „ანთროპოლოგია დასავლური პერსპექტივით: საქართველო - ბულგარეთი“ და „შავი ზღვის ქვეყნების კულტურის,

პროგრამა-“ანთროპოლოგია დასავლური პერსპექტივით: საქართველო-ბულგარეთი“ პროგრამა-“შავი ზღვის ქვეყნების კულტურის, ისტორიის, ანთროპოლოგიის, ლიტერატურის და ლინგვისტიკის ინოვაციური ასპექტების შესწავლა“

„სტუდენტური დღეები-2011“-ის ბრან-პრი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოიპოვა



„სტუდენტური დღეები-2011“ ქედაში ინტერმედით დასრულდა. სტუდენტურ დღეებში შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისა და ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობდნენ. სპეციალურმა

უიურიმ ახალგაზრდების შესაძლებლობები სხვადასხვა ნომინაციაში შეაფასა. ბრან-პრის მფლობელი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა. საუკეთესო ფოლკლორული და მუსიკალური ნომრებისა და საუკეთესო მკლავ-ჭიდების ნომინაციების პრიზორებად რსუ-ს სტუდენტები დასახლდნენ. ნომინაციებში - მის უნივერსიტეტი და საუკეთესო მხიარულთა და საზრიანთა კლუბი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტებმა გაიმარჯვეს, ხოლო ნომინაციაში საუკეთესო ფეხბურთის გუნდი, პირველობა ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა მოიპოვა. „სტუდენტური დღეები - 2011“ -ის გამარჯვებულ სტუდენტებს ფასიანი და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. ინტერმედია აჭარის ა.რ. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა.

ოთხობოქლის „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის“ წარდგინება



ფილოსოფიის დეპარტამენტის ორგანიზებით შოთა რუსთაველის დარბაზში ოთ-

ხობოქლის „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის“ წარდგინება გაიმართა. ფუნდამენტური ნარკვევის ერთ-ერთმა ავტორმა, რედაქტორმა და პროექტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მიხეილ მახარაძემ პრეზენტაციაზე ოთხობოქლის შექმნის ოცდახუთწლიან ისტორიასა და ქართული ფილოსოფიის განვითარებაზე ისაუბრა. რსუ-ს რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ, პროფესორ-მასწავლებლებმა და დარგის სპეციალისტებმა „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია“ განიხილეს და მისი მნიშვნელობა შეაფასეს. პროფესორი მიხეილ მახარაძე ოთხობოქლის მომზადებისა და გამოცემისათვის 2011 წელს ეროვნული პრემიით დაჯილდოვდა.

დამსახურებული ალიარება

„საქართველო - დამოუკიდებლობის აღდგენის 20 წელი: მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები“

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 20 წელს მიეძღვნა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი კონფერენცია: „საქართველო - დამოუკიდებლობის აღდგენის 20 წელი: მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები“. კონფერენციაზე პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს, როგორცაა ქვეყნის დემოკრატიული განვითარება, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა და მოდერნიზაცია, დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრება,



საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლება, მსოფლიო თანამეგობრობაში ინტეგრაცია, თანამედროვე განათლების ასპექტები და ეროვნული ფასეულობები. კონფერენციამ მუშაობა მრგვალ მაგიდასთან დაასრულა.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიამ თავის ნამდვილ წევრად აირჩია შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალიოშა ბაკურიძე.

ბატონო ალიოშა, გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტის“ რედაქცია, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტი ახალგაზრდობა გულითადად გილოცავთ საქართველოს განათლების აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევას.

თქვენ მრავალმხრივ ნაყოფიერ საუნევერსიტეტო მოღვაწეობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ზრუნვას პედაგოგიური განათლების სრულყოფისათვის. თქვენი ინიციატივით იქნა შემოღებული „უმაღლესი სკოლის პედაგოგიის“ სრული კურსის სავალდებულო სწავლება მესამე საფეხურზე. თქვენი მხარდაჭერით ამ დღეებში უნი-

ვერსიტეტში გაიხსნა ისტორიის სწავლების მეთოდის კაბინეტი და იმედია, ამ წამოწყებას მიბაძვას სხვა დეპარტამენტებიც.

კვლავაც დიდხანს და ნაყოფიერად გელვანოთ ეროვნული განათლების სრულყოფისა და წინსვლისათვის, ღრმა ცოდნითა და მაღალი კომპეტენციებით აღჭურვილი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის.





ინტერვიუ წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერთან



შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომლის არჩევაც ხდება უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების შესაბამისად. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადა 4 წელია.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი ბატონი კახა ქაშიბაძე გახლავთ, რომელიც გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტის“ კითხვებს პასუხობს.

– ბატონო კახა, როგორია წარმომადგენლობითი საბჭოს როლი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში...

– წარმომადგენლობითი საბჭო არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (რსუ-ს) უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც 4 წლის ვადით აირჩევა უნივერსიტეტის ძირითადი ერთეულებიდან - ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე.

– როგორ ხდება წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევა?

– წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევა ხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, რსუ-ს წესდებით განსაზღვრული წესით.

წარმომადგენლობითი საბჭოში სტუდენტები შეადგენენ საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედს. ასისტენტ-პროფესორი, რომელიც არ არის დოქტორი, არჩევნებში მონაწილეობს როგორც სტუდენტი. სტუდენტთა რაოდენობის დასადგენად დამრგვალება ხორციელდება სტუდენტთა სასარგებლოდ.

წარმომადგენლობითი საბჭოში ფაკულტეტების წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით, ფაკულტეტებზე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის რაოდენობის პროპორციულად.

წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ სრული შემადგენლობის უმრავლესობით არჩეული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, ასევე უნივერსიტეტის თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან რსუ-ს წესდებით განსაზღვრული წესით არჩეული წარ-

მომადგენელი. წარმომადგენლობითი საბჭოში სტუდენტებს ირჩევენ ფაკულტეტის ყველა სტუდენტი, მათ შორის დოქტორანტი. აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს წარმომადგენლობითი საბჭოში ირჩევენ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, გარდა დოქტორანტისა. წარმომადგენლობითი საბჭოში ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციას ახორციელებს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისია.

– საბჭოს წევრთა შორის სტუდენტების სახელობე და გვარებიც ფიგურირებს. რა როლი აქვთ მათ?

სტუდენტები, ისევე როგორც რსუ-ს აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, არიან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები და ლეზულებენ მონაწილეობას საბჭოს სხდომებში. მათ თანაბარი უფლებები აქვთ გადაწყვეტილებების მიღებისას.

– როგორია წარმომადგენლობითი საბჭოს მუშაობის წესი?

– წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომების მომზადების, წარმართვისა და გადაწყვეტილებების მიღების წესი განისაზღვრება ამ წესდებით და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტით. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა მოიწვევა სპიკერის ან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის ინიციატივით;

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომების მომზადებასა და სხვა ორგანიზაციულ საქმიანობას უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნო, რომლის ფუნქციები განისაზღვრება წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტით. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომებს უძღვება სპიკერი ან მისივე დავალებით საბჭოს ერთ-ერთი წევრი. სპიკერის არყოფნის შემთხვევაში კი საბჭოს წევრთაგან არჩეული სხდომის თავმჯდომარე. გადაწყვეტილება მიღებულია ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს სხდომის მონაწილე წევრთა შემადგენლობის უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-ისა. ხმების გაყოფისას თავმჯდომარის ხმა გადაწყვეტილებაზე არ აქვს გავლენა.

– რა უფლებამოსილება აქვს წარმომადგენლობითი საბჭოს?

რსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭო: ა) შეიმუშავებს უნივერსიტეტის წესდებსა და აკადემიური საბჭოს მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს; ბ) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტე-

ტის შინაგანანგებს, უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს;

გ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესსა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;

დ) ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს;

ე) ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

ვ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

ზ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე;

თ) ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნაირსახურს;

ი) აკადემიური საბჭოს მოტივირებული წინადადებით ვადასა და საკუთარი ინიციატივით უფლებამოსილია ვადასა და საკუთარი ინიციატივით უფლებამოსილია ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

კ) აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურას;

ლ) ამტკიცებს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

მ) ამტკიცებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

ნ) სითი შემადგენლობის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე უფლებამოსილია ვადასა და საკუთარი ინიციატივით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს; (14.03.2011 N 39/6);

ო) თავისი შემადგენლობიდან ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანს, რომლის ფუნ-

ქციებიც განისაზღვრება წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტით;

პ) ახორციელებს წესდებით, შინაგანანგისა და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს;

ჟ) ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტს სითი შემადგენლობის უმრავლესობით.

– წარმომადგენლობითი საბჭოს ორგანიზაციულ უზრუნველყოფაზე რას იტყვიან?

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომების მომზადებასა და სხვა ორგანიზაციულ საქმიანობას უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნო, რომელიც არის რსუ-ს დამხმარე სტრუქტურული ერთეული.

– როგორია წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის სამომავლო მიზნები და პერსპექტივები?

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერატის მიზნები უშუალოდ დაკავშირებულია უნივერსიტეტის ყოველდღიურობასთან, რათა კიდევ უფრო გამჭვირვალე და საჯარო გახდეს სპიკერატის მუშაობა. გაიზარდოს თითოეული არჩეული აკადემიური პირის და სტუდენტების როლი



გადაწყვეტილებების მიღებისას. დაინერგოს ინოვაციები, რაც ნებისმიერი მსურველისა თუ დაინტერესებული პირისათვის გახდის ხელმისაწვდომს ყველა გადაწყვეტილებასა და დადგენილებას - ელექტრონული და ციფრული მატარებლებით, მათ შორის ონლაინ რეჟიმში.

წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ სრული შემადგენლობის უმრავლესობით არჩეული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, ასევე უნივერსიტეტის თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან რსუ-ს წესდებით განსაზღვრული წესით არჩეული წარ-

რეცენზია

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურას მეტად ღირებული, დროული და საჭირო ნიგბი შეემატა „შავშეთი“ (ავტორები პროფესორები: მ. ფალავა (რედაქტორი), თ. შიომილი, შ. მამულაძე, მ. ცინცაძე, მ. ჩხინაძე, ზ. შაშიკაძე, ნ. ცეცხლაძე, თ. ფუტყარაძე, მ. ბარამიძე, ჯ. კარალიძე, დოქტორანტი ვ. ჩხინაძე).

ყოველი ახალი გამოკვლევის გამოსვლა სასიხარულო და მისასალმებელია, მაგრამ გაცილებით საშურია იმ სახის მონოგრაფიის დამკვიდრება, რომელიც ეხება საქართველოს ისტორიულ კუთხეს-შავშეთს. ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის აკვანი ყოველთვის აღძრავდა მეცნიერულ ინტერესს, მაგრამ არცთუ ისე მდიდარი ისტორიული წყაროები თუ ქართველ და უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერები არ იძლეოდა ფუნდამენტური კვლევის შესაძლებლობას.

ერთიანი ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში განუზომლად დიდი სამხრული მეტყველების, დიდი ჭოროხის აუზის ქვეყნების როლი. მისი კომპლექსური შესწავლა საერთოქართული და ქვეყნობრივად ეროვნული საქმეა. ისტორიული სამხრეთ საქართველოს, თურქეთის ტერიტორიაზე დარჩენილი პროვინციების შესახებ მკითხველს არასრული წარმოდგენა ჰქონდა, რამეთუ მეცნიერებს მსჯელობა უხდებოდათ მწირ წყაროებსა თუ მოგზაურთა ჩანაწერებზე დაყრდნობით. ამ კუთხისადმი განსაკუთრებული სითბოსა და მეცნიერულ ინტერესს იჩენენ ჩვენი უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლები. XX საუკუნის 90- იანი წლებიდან ისინი აწყობენ მუდმივმოქმედ სამეცნიერო ექსპედიციებს. სამხრეთ- დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო- კვლევითი ცენტრის პრიორიტეტი სწორედ სამხრეთ საქართველოს მეცნიერული შესწავლა გახლავთ.

თურქეთის საქართველოში ჩატარებულმა სამეცნიერო-შემკვრელობითმა მუშაობამ, კომპლექსურმა ექსპედიციებმა შექმნა ისტორიული საქართველოს კვლევის ახალი ეტაპი. ექსპედიციის წევრებმა მოაგროვეს საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი ფოლკლორული, დიალექტოლოგიური, ეთნოლოგიური, არქეოლოგიური, აუდიო, ფოტო- და ვიდეომასალა, რაც გახდა კომპლექსური კვლევის ჩატარების, სამეცნიერო მონოგრაფიის გამოცემის საწინდარი. აქვე აღვნიშნავთ, რომ 2008 წელს ავტორთა ჯგუფმა პროექტით „შავშეთი-ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“ გაიმარჯვა „რუსთაველის ფონდის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში და მოიპოვა გრანტი.

ავტორებმა დააკმაყოფილეს სამეცნიერო საზოგადოების ინტერესი და მკითხველს შესთავაზეს მალაქმეცნიერულ დონეზე შესრულებული კომპლექსური ნაშრომი, რომელიც უნდა ითქვას, რომ საყურადღებოა ისტორიული შავშეთის გაცნობით, შესწავლით დაინტერესებული სამეცნიერო თუ ფართო საზოგადოებისათვის, მათთვის, ვისაც სტკივა ქორხსილიმა დარჩენილ ქართველთა სატკივარი.

„შავშეთი“ კომპლექსური გამოკვლევაა. იგი ორი ნაწილისაგან და შეიძლება თავისგან შედგება. I ნაწილში მოცემულია შავშეთის ისტორიული ექსკურსი, განხილულია სოფლების აღწერა მოგზაურთა და მეცნიერთა ჩანაწერების მიხედვით, აქვეა განხილული შავშეთის მდგომარეობა, თუ როგორ ჩამოსცილდა სამცხე- საათაბაგო XV საუკუნეში საქართველოს და როგორ აღმოჩნდა XVI საუკუნის დასაწყისისთვის დაშლილ - დანაწევრებული საქართველო ორი დიდი სახელმწიფოს გარემოცვაში.

საბოლოოდ ოსმალეთმა სამცხეში ოთხი სასაზღაო დაიპყრო და შავშეთიც ოსმალთა პროვინციად იქცა. ნაშრომში მოცემულია ძვირფასი ცნობები, რომლებშიც ასახულია შავშეთის ყოფა ოსმალეთის იმპერიაში ყოფნის დროს. ცალკე თავები ეთმობა შავშეთის მატერიალური ძეგლების აღწერას, ეთნოგრაფიას, ფოლკლორს.

ჩვენთვის, ლინგვისტებისთვის ფრიალ საყურადღებოა შავშეთი კილოს ფონემატური სტრუქტურა, ფონეტიკური მოვლენები, ზმნის კატეგორიები, საწყისის, მიმდევრობის თუ უდევრების თავისებურებანი, სიტყვანაშრომითი მოდელი. აქვე განხილულია სინტაქსის საკითხებიც; მოცემულია შავშეთი ლექსიკა, სადაც გამოყოფილია თურქული ლექსიკის კვალიც.

განსაკუთრებით საინტერესოა შავშეთის ტოპონიმია, მისი სტრუქტურული ანალიზი და მათში ქართულ - თურქული ენობრივი ურთიერთობების ასახვა. ტოპონიმებში გამოიყოფა ქართულ - თურქული ფუძეებით თუ მანარმოებლებით გაფორმებული სახელები.

ენათმეცნიერთათვის ყველაზე ძვირფასი და ღირებულია შავშეთი დიალექტის მასალები, ფოლკლორის ნიმუშები, რომელთაც ერთვის შენიშვნები, ვარიანტები და ლექსიკონი.

„შავშეთი“ მკვლევართა თავდაუზოგავი შრომის, შეუწყობილი მეცნიერული ინტერესის და დიდი ენთუზიაზმის დასტურია. იგი საპატიო ადგილს დაიჭერს ჩვენს ეროვნულ სულიერ მემკვიდრეობაში.

ასოცირებული პროფესორი
ნანა ცეცხლაძე,
ასოცირებული პროფესორი
მაია ქიქვაძე,
ასისტენტ პროფესორი
ნათია ფარტანაძე.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ფსიქოლოგიის მეცნიერების დოქტორს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, სრულ პროფესორს, ბატონ ნოდარ ბარამიძეს დაბარებულა 65 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოზა ბაკურიძემ იუბილარს გადასცა რექტორატის ადრესი, რომელსაც ვთავაზობთ მკითხველს.

ბატონ ნოდარ ბარამიძეს, განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეულ პედაგოგსა და მეცნიერს,

ბატონ ნოდარ ბარამიძეს!



ძნელია აღმოჩნდეს გამორჩეული შორის, რომელთაც შეუძლიათ ცხოვრობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრებით და ზრუნავდნენ მომავალი თაობების აღზრდაზე. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებით თქვენ, მრავალი ადამიანის აღზრდელი და დამრიგებელი. თქვენ, მშობლიური უნივერსიტეტის კედლებში, 1980 წლიდან მოღვაწეობთ და არ ყოფილა არც ერთი დღე, რომ მისი პრობლემების გარეშე გეცხოვროთ, მისი ტკივილი არ გაგვიზარებინოთ და არ გეხაროთ მისი წარმატებებით. ჩვენს უნივერსიტეტში თქვენ ბრძანდებით ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი, შორეული მოტივაციური ქცევისა და ნებისყოფის პრობლემის, პედაგოგიური და ისტორიული ფსიქოლოგიის მიმართულებებით წარმოებული თქვენი კვლევები მრავალპლანური და მრავალსაფეხოვანია. თქვენვე შექმენით შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ნებისყოფითი ქცევის შესაძლებლობების კვლევის მრავალვარიანტული ექსპერიმენტული მეთოდიკა, რომელსაც საკუთარ კვლევებში წარმატებით იყენებენ ახალგაზრდები.

თქვენი ღვაწლი აღიარებულ იქნა არა მარტო აჭარაში, არამედ იგი გასცდა მის ფარგლებს და სწორედ ამის დადასტურებაა, რომ ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული ბრძანდებით ღირსების ორდენით, საქართველოს განათლების სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელებით, იაკობ გოგებაშვილის სახელობის საპატიო მედლით.

მიუხედავად ამ რეგალიებისა, პედაგოგისთვის უმთავრესი მისი შეგირდის აღიარებაა. ამდენად, სასიხარულო და სამამაოა, როცა სტუდენტი საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ გასახელებს, რაც თქვენს შემთხვევაში უნივერსიტეტის სტუდენტთა სოციოლოგიურმა გამოკითხვებმა დაადასტურა.

გულითადად გილოცავთ 65 წლის იუბილეს, გისურვებთ ჯანის სიმრთელეს, ახალგაზრდად შემართებას, რათა კიდევ მრავალი ღირსეული თაობა აღზარდოთ.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი
ალიოზა ბაკურიძე
01.06.11წ



ქანაქანა ხათუაის დრამატულ თეატრი

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე აქტიური თეატრია. განსაკუთრებით, იმ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, რაც ყველასთვის კარგად ცნობილია. მას შემდეგ, რაც შე-

რამაზ იოსელიანს. სპექტაკლში გამოყენებულია ბარნეს, ტიერსენისა და როტას მუსიკალური ნაწარმოებები.

პიესა კომიკური ჟანრისაა და მასში მოთხრობილია სამსახურის დაწყების სურვილით შეპყრობილი სამი მოხუცი კლოუნის



ამბავი, რომლებმაც ძველ გაზეთში განცხადება ნახეს, სადაც მოხუც კლოუნს ითხოვენ. ისინი გადანყვეტენ განცხადებას გამოუმართონ და მითითებულ მისამართზე იმ იმედით მივლენ, რომ სამსახურს დაიწყებენ. სპექტაკლი აზარტში მას შემდეგ შედის, როცა მოსაცდელში მყოფი სამი მოხუცი კლოუნი ძველი მეგობრები აღმოჩნდებიან, რომლებსაც წლების განმავლობაში ერთმანეთი ნანახი არ ყავდათ.

მოქმედებითი გულისცემა დაიწყო, თეატრიც ნელ-ნელა დაადგა რენესანსის გზას. ლომის წვლილი კი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ გიორგი თავაძეს მიუძღვის, რომელმაც ძალიან მოკლე დროში შეძლო თეატრისათვის დაებრუნებინა ის დიდება და ფუნქცია, რაც რეალურად უნდა ჰქონდეს მას.

გიორგი თავაძეს ტრადიცია არც ახლა დაურღვევია. ამჯერადაც, რაღაც განსხვავებული და სულ სხვა სტილის მატყვი ვიშნეკის „გვესაჭიროება მოხუცი კლოუნი“ შესთავაზა ბათუმელ მაყურებელს. სპექტაკლში ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობები მამუკა მანჯგალაძე და ტიტე კომახიძე თამაშობენ. ასევე, თქვენ სცენაზე იხილავთ თბილისის მიხეილ თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრის მსახიობ

დათ. ცოტა არ იყოს, სპექტაკლს მსვლელობის დროს სევდიანი ფონიც თან დასდევს – ისინი იხსენებენ ახალგაზრდობის ამბებს, ერთმანეთს აჯავრებენ, დასცინიან, ჩხუბობენ და ტირიან კიდევ. ძველი და უკვე კარგად გახუნებული საკუთარი საცირკო ნომრებითაც აწონებენ ერთმანეთს თავს. მსახიობებმა თავიანთი პროფესიონალიზმით და ოსტატობით ძალიან მაღალ დონეზე გაართვეს თავი რეჟისორის ამოცანას.

სპექტაკლი გამოირჩევა თავისი სპეციფიკურობითაც. ფაქტობრივად სცენების უმრავლესობა ხდება დარბაზში, მაყურებელთან ძალიან ახლოს და არა სცენაზე. რამდენიმე სცენარში მსახიობები იარუსებიდანც გადმოდიან, რაც სპექტაკლს უფრო საინტერესოს ხდის და მაყურებელიც მოულოდნელობაშია. სპექტაკლი დატვირთუ-



ლია საცირკო ნომრებითაც, რომელიც ძალიან დიდ ემოციას იწვევს მაყურებელში. დაწყებიდან დამთავრებამდე ისეთი მაღალი ტემპით მიმდინარეობს, რომ მაყურებელს აპლოდისმენტიდან აპლოდისმენტამდე დროც კი არ აქვს.



როგორც შემოქმედებითად ისე ტექნიკურადაც რთული სპექტაკლია, მაგრამ

ფიქრობ, რომ მსახიობებმაც და ტექნიკურმა პერსონალმაც საკმაოდ მაღალ დონეზე გაართვეს თავი დაკისრებულ მისიას. აღარაფერს ვამბობ დამდგმელ რეჟისორ გიორგი თავაძეზე, რომელმაც კიდევ ერთხელ გვაჩვენა თავისი ფანტაზიის და ნიჭის უსაზღვრო არეალი, რაც მაღალპროფესიონალურად გადმოაქვს სცენაზე, მსახიობში და მაყურებელში.

ერთი სიტყვით პრემიერა შედგა და საკმაოდ წარმატებულადაც. ოთხივე ჩვენებამ ანშლავით ჩაიარა. ბათუმის დრამატული თეატრისგან ალბათ კიდევ მრავალ სიახლეებს ვიხილავთ.

მინდა შემოქმედებითი წარმატება ვუსურვო ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს.

ლავა ველიაძე

„ღივი, რომელიც ხვჭვებს იყუთვნით“

„გილოცავთ, ბავშვებო, ანცებო, ლალებო, საოცრად თბილებო, ცელქებო, კარგებო. სიამის ქნარებო და სულის ჩიტებო, თქვენ მართლაც უფლის და სამოთხის გვრიტებო!“

ყოველი დღე ბავშვებისაა, მათ შორის 1 ივნისი. ამ ულამაზეს დღესთან დაკავშირებით ორგანიზაციები მოსაზრება არსებობს.

დღით ბედნიერს ხდის. ბავშვები მსოფლიოს ყველაზე ძვირფასი რესურსია და მისი საუკეთესო იმედი. ისინი

ერთნი თვლიან, რომ 1 ივნისი, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღედ, 1925 წელს ჟენევის კონფერენციაზე აღიარეს, ხოლო მეორენი თვლიან, რომ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე დააწესა 1949 წლის ნოემბერში ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ. 1950 წლიდან კი ყოველწლიურად 1 ივნისი აღინიშნება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ამ დღის მიზანია მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მობილიზება ახალი ომის საშიშროებისაგან ბავშვთა დასაცავად. ზრუნვა მათი ჯანმრთელობისა და დემოკრატიული აღზრდა-განვითარებისათვის.



„დაიცავი ის, ვინც დაუცველია“ ეს უნდა გახდეს ყველა ჩვენთაგანისათვის უპირველესი პირობა. 1 ივნისს არ არსებობს სხვაობა მზრუნველობამოკლებულსა და ოჯახურ სიტუაციას მიჩვეულ ბავშვებს შორის. ამ დღეს თანაბარია ყველა, რომელთაც მზის სითბო აერთიანებთ და თუნდაც ერთი

წარმატებული სახელმწიფოს წინაპირობაა, რომლებზეც უნდა ზრუნავდნენ გამუდმებით თითოეული დანესებულება, ჯგუფი, ინდივიდი, რადგან კარგად ვიცით, რომ ყოველი დღე ბავშვებისაა. ისინი სხვა ცნებებით მეტყველებენ, სხვა განზომილებებით ცხოვრობენ, ბავშვებისთვის არ არსებობს ის, რაც მათი ცხოვრების პარალელურად მიმდინა-

რეობს- არ სცნობენ არც გაჭირვებას, არც შიმშილს, არც სიცივეს. ისინი ჩვენთან არიან და არაფერი აკლიათ; რა თქმა



უნდა, თუ აქვთ, რაც სჭირდებათ- ეს არის სითბო, სიყვარული, ყურადღება და მოვლა. სწორედ ამიტომ, ზაფხულის პირველ დღეს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ეწყობა მრავალი აქცია ბავშვთა სასარგებლოდ. მთელი საქართველოს მასშტაბით იმართება უამრავი კონცერტი, შოუ, გამოფენა თუ სხვა. ეწყობა საქველმოქმედო

და აქციები და სხვა გასართობი სანახაობები.

ამ დღესთან დაკავშირებით მახსენდება ბავშვების უსაყვარლესი მწერალი ნოდარ დუმბაძე, რომელიც პირველი აღმოჩნდა გასული საუკუნის 80-იან წლებში, რომელმაც ააშენა ბავშვთა საოცნებო ქალაქი „მზიური“. აქვე გავიხსენებდი ამ უდიდესი მწერლის სიტყვებს „უამრავი ნაკლის მიუხედავად ქართველს ისეთი თავკარა გული, უმზესი სული და მაღალი ბუნება აქვს, მთელს სამყაროს დასწავდა, კავკასიონის მარადი თოვლი რომ არ აგრილებდეს და აშოშმინებდეს.“- ეს სიტყვები უთბილესმა და უსაყვარლესმა მწერალმა საქმით დაამტკიცა, რომელსაც დღეს უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს.

მანამდე კი, სანამ ბავშვთა ქალაქები საქართველოს ყველა კუთხეში აშენდებოდა, 1 ივნისს ჩვენც გავტებთ მზიურის მზით, რომელიც აგვივსებს სულს სიყვარულით და მეგობრობით.

ჩემო კარგებო, კიდევ ერთხელ მოგილოცავთ ამ ლამაზ დღეს და გისურვებთ მშვიდობიან ცას და ბედნიერ მომავალს.

გვანცა საბაშვილი
ჟურნალისტიკის სპეციალისტის პირველი კურსის მაგისტრანტი



სტუდენტთა და ახალგაზრდა მესწიერთა კონფერენცია „აჭარა, მდგრადი განვითარება, მომავალი...“

გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ორგანიზებით გამართული სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა

და მდგრადი განვითარების საკითხებში სტუდენტ-ახალგაზრდობის ცნობიერების დონის განსაზღვრას, ამაღლებასა და ამ მიმართულებით მათი საქმიანობის სტიმულირებას.

ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის არსებობა შეუძლებელია ჯანსაღი გარემოს გარეშე. ბუნება და ბუნებრივი რესურსები ბაზაა, რომელზეც არსებობს და ვითარდება საზოგადოება. ადამიანსა და გარემოს შორის ურთიერთობა დღემდე გრძელდება. ბუნებას დღესაც შესწავლა სჭირდება, ამიტომ სანამ გვიანი არ არის ყველამ უნდა ვიტყვირთოთ ის მისია, რომელსაც ნათელი მომავლისათვის, მომავალი თაობის კეთილდღეობისათვის ზრუნვა სჭირდება. მდგრადი განვითარება საზოგადოების წინსვლის მთავარი პრინციპია.

ახალგაზრდა მეცნიერებმა მოხსენებები წარმოადგინეს ეკოლოგიის, ბიოლოგიისა და მიმართულებით, რომლებიც კრებულის სახით უკვე დაიბეჭდა. სულ

წარმოდგენილი იყო ოცდაექვსი მოხსენება. ნაშრომში ძირითადი ადგილი უჭირავს მოხსენებებს აჭარის ბიომრავალფეროვნების, ბიომრავალფეროვნების შემცირების საფრთხეების, მაღალმთიანეთის ეკოლოგიური მდგრადობისა და მისი გაუმჯობესების გზების, კოლხეთის ცოცხალი სფაგუმისანი ტორფნარის როლის შესახებ კლიმატის რეგულირებაში. კონფერენციაზე მომხსენებელთა ინტერესები გამახვილებული იყო ასევე ისეთ საკითხებზე, რეგორიცაა ჰაბიტატების აღდგენისადმი მიძღვნილი პროექტების შემუშავება, ბიოსანვლის მიღება საყოფაცხოვრებო ნარჩენებიდან, აჭარისწყლის ხეობის ეკოლოგიური კვლევა, მაღალმთიანი რეგიონის ტურისტულ-რესურსული პოტენციალის შესწავლა და


მისი მარკეტინგული კვლევა, ტურიზმის როლი აჭარის მაღალმთიანეთის მდგრადი განვითარების პროცესში, ეკოტურიზმის განვითარება მდგრადი ტურიზმის კონტექსტში და სხვ. სამეცნიერო სესიის დასრულების შემდეგ სტუდენტებმა მტირალას ეროვნული პარკი დაათვალიერეს.

განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით ბარათაშვილი
ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი **ინგა დინასაძე**



კონფერენცია „აჭარა, მდგრადი განვითარება, მომავალი...“. კონფერენცია მიზანდასახვევად



ტურიზმის მისი მარკეტინგული კვლევა, ტურიზმის როლი აჭარის მაღალმთიანეთის მდგრადი განვითარების პროცესში, ეკოტურიზმის განვითარება მდგრადი ტურიზმის კონტექსტში და სხვ. სამეცნიერო სესიის დასრულების შემდეგ სტუდენტებმა მტირალას ეროვნული პარკი დაათვალიერეს.



ბიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით ბარათაშვილი

დედამინა, ადამიანი და პრობლემები

ჩვენი დედამინა სამყაროს „დიდი აფეთქების“ (მოხდა 15 მილიარდი წლის წინ) პროდუქტია, რომლის ფორმირება დაიწყო დაახლოებით 6,5 – 7 მილიარდი წლის წინ. დედამინაზე 1,5 მილიარდი წლის წინ გაჩნდა სიცოცხლე, ხოლო 40 ათასი წლის წინ ბუნების მშვენიერი ქმნილება – ადამიანი, ანუ იგივე მოაზროვნე არსება „ჰომოსაპიუსი“.

ჩვენს დედამინაზე ადამიანის ადგილი განსაკუთრებულია, იგი ფაქტობრივად დე-

რომლებიც თანდათანობით გადადიოდა სეროზულ პრობლემებში. დედამინაზე ბევრი პრობლემა, რომლებიც პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: 1. ბუნებრივი-კლიმატური, 2. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური

თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა გლობალური დათბობაა. მისი ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ბოლო 150 წლის განმავლობაში დედამინის საშუალო ტემპერატურა 13,4 გრადან, 14,0 გრადმდე, ანუ 0,6 გრადით მოიმატა, რომლის ზრდის ტენდენციები ბოლო წლებში კიდევ უფრო გამოკვეთილია. გლობალური დათბობის ძირითადი მიზეზებია მზის აქტივობა და სითბური ეფექტი. მზის აქტივობა სცილდება დედამინის ფუნქციებს, რომლის მართვა კაცობრიობას არ ძალუძს. რაც შეეხება სითბურ ეფექტს, მისი გამომწვევი მიზეზები შემდეგია: ა) ოზონის ფენის ცვალებადობა; ბ) ატმოსფეროში აეროზოლების კონცენტრაციის ზრდა; გ) ნახშირორჟანგის კონცენტრაციის ამაღლება; დ) ატმოსფერული ორთქლის მომატება. დასახლებული მიზეზები ძირითადად ანთროპოგენური ხასიათისაა, რომლის ზრდის ტენდენციები აშკარადაა გამოკვეთილი. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 800 – 1000 წლის შემდეგ დედამინის საშუალო ტემპერატურა გაიზარდება 2 გრადით, რაც ფაქტობრივად გამოიწვევს ყველა ყინულოვანი საფარის გადნობას და მსოფლიო ოკეანის დონის 60 მეტრით წამოწევას. ამასთან, გააქტიურდება სხვა სტიქიური ბუნებრივი პროცესები და დედამინის დიდ ნაწილზე ცხოვრება შეუძლებელი გახდება.

მნიშვნელოვანი პრობლემაა მინის რესურსების, ნიადაგის სტრუქტურისა და ნაყოფიერების შემცირება. ისტორიულ დროში კაცობრიობამ დაკარგა 2 მლრდ. ჰა პროდუქტიული მინა. ყოველწლიურად 6 მლრდ. ჰა მწარმოებელი მინა ანთროპოგენური დეგრადაციის შედეგად უფარგისი ხდება. ანთროპოგენური ზემოქმედებით ნიადაგი განიცდის მექანიკურ, აგლომერაციულ და ქიმიურ ზემოქმედებას. ამას ემატება ნიადაგის წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზია, რის გამოც ნიადაგი საშუალოდ წლის განმავლობაში კარგავს 24-25 მლრდ. ტ. ნაყოფიერ ფენას. ამას ემატება გაუმჯობესების პროცესის ზრდა, რის გამოც ყოველწლიურად იკარგება 6 მლნ ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული. თუ მომავალში ამ ტემპით გაგრძელდება მინის რესურსების შემცირების ტენდენციები, მსოფლიოს სეროზული ტრეზერვები ემუქრება. საშუალოდ ერთი ადამიანის გამოსაკვებად საჭიროა 0,1 ჰა სახნავი მინა. მსოფლიოში სახნავი მიწების საერთო რაოდენობა 13,7 მლნ კვ. კმ-ია, ანუ საშუალოდ ერთ ადამიან-

ზე მოდის 0,2 ჰა. ჩვენს დედამინას მინის რესურსების მაქსიმალური გამოყენების შემთხვევაში შეუძლია გამოკვებოს 12 მილიარდი ადამიანი.

ერთ-ერთი გლობალური პრობლემაა ატმოსფეროს გაჭუჭყიანება. ატმოსფეროში არსებული მტვერი არის ბუნებრივი და ტექნოგენური. ბუნებრივი გაბინძურება, მიუხედავად მისი წარმომშობი წყაროების სიმრავლისა (ქანებისა და ნიადაგის გამოფიტვა, ეფუზიური ვულკანიზმი, ხანძრები, მტერიანი ქარიშხლები, აორთქლება ოკეანის ზედაპირიდან, კოსმოსური მტვერი და სხვა), დადებით როლს თამაშობს ჩვენს პლანეტაზე ბუნებრივი პროცესების მიმდინარეობაში. ატმოსფეროს ეკოლოგიური დაბინძურების დიდი ნაწილი ტექნოგენურ პროცესებზე მოდის, რის შედეგადაც განსაკუთრებით მატულობს, ნახშირორჟანგის კონცენტრაცია. მაგალითად, ბოლო საუკუნეში ატმოსფეროში ნახშირორჟანგის კონცენტრაცია 0,003 %-ით გაიზარდა, რომელიც სითბური ეფექტის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. საშუალოდ ყოველწლიურად ატმოსფეროში ტექნოგენური პროცესების შედეგად გამოიყოფა 68-70 მლ. ტ. მყარი ნაწილაკები, რომელიც ხელს უწყობს „სმოგების“ წარმოქმნას და აფერხებს ატმოსფერ-

ველწლიურად ნადგურდება 7 მლნ. ჰა ტყე.

ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთი მიმწველოვანი პრობლემაა დედამინის ფაუნის შემცირების ტენდენციები. 1000 წლიდან დღემდე ადამიანის ხელით გაქრა 365 სახეობის ძუძუმწოვარი, 94 სახეობის ფრინველი, ხოლო გაქრობის წინაშეა 120 სახეობის ძუძუმწოვარი.

თანამედროვეობის მნიშვნელოვანი გლობალური პრობლემაა დემოგრაფიული პროცესები. პრობლემის მთავარი არსი ისაა, რომ მსოფლიოში დაჩქარებული ტემპით იზრდება მოსახლეობის რიცხოვნობა. ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში მსოფლიოს მოსახლეობა (1900 – 2010 წწ.) 1,64. მილიარდიდან 6,8 მილიარდამდე, ანუ 4,2 ჯერ გაიზარდა. „დემოგრაფიული აფეთქების“ მთავარი მაჩვენებელი ისაა, რომ საშუალოდ მსოფლიოში ყოველწლიურად მატულობს 80 – 85 მილიონი კაცი, ხოლო მატების 80% განვითარებად ქვეყნებზე მოდის, როცა ბევრ განვითარებულ ქვეყანაში დემოგრაფიული „ბუმი“ კავშირშია ბევრ სოციალურ პრობლემასთან, მათ შორის ადამიანთა ჰუმანური განვითარების მაჩვენებლებთან.

ერთ-ერთი სეროზული პრობლემაა ასევე მსოფლიოს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა. ადამიანის მიერ დღე-ღამეში მოხმარებული კალორიულობის სამედიცინო ნორმა 2300 – 2800 კკალ. გაეროს მონაცემებით მსოფლიო მოსახლეობის 2/3 ნაწილი მუდმივად განიცდის სურსათის ნაკლებობას. 1,1 – 1,2 მილიარდი ადამიანი შიმშილობს და 20 – 25 მილიონი უშუალოდ შიმშილისაგან კვდება. შიმშილი განსაკუთრებულად ბოძოქრობს აფრიკაში, სამხრეთ აზიასა და ლათინურ ამერიკაში.

დედამინა, მიუხედავად თავისი მრავალი პრობლემისა, წარმოადგენს ჩვენს ძირითად სახლს, სადაც ცხოვრობს, ვსაქმიანობთ და ერთმანეთთან ვამყარებთ კომუნიკაციას. გამომდინარე აქედან, თითოეული ადამიანის უპირველესი მოვალეობაა დაიცვას თავისი საცხოვრებელი გარემო და მასზე იზრუნოს. ცნობილი ფილოსოფოსი ემანუელ კანტი ამბობდა: „თელი უზარმაზარი მზე მხოლოდ პატარა პლანეტების გულისთვის არსებობს“. ჩვენც ამ სამყაროს პატარა ნაწილი ვართ და ისე უნდა ვიცხოვროთ, რომ ჩვენს გამო დედამინაზე პრობლემა არ უნდა შეიქმნას, წინააღმდეგ შემთხვევაში კაცობრიობას დიდი მომავალი არ ექნება.

გეოგრაფიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი მერაბ ფუტყარაძე



დამინის ბატონ-პატრონი გახდა, რომელიც ნებით თუ უნებლიედ აქტიურად ერევა ბუნებრივი პროცესების განხორციელებაში და ხშირ შემთხვევაში, ეს ურთიერთობები ფატალური შედეგებითაც მთავრდება. ადამიანის საქმიანობა ბუნებაში ევოლუციური პროცესიდან რევოლუციურში გადაიზარდა. კერძოდ, ერთი ადამიანის ენერჯის ხარჯი ქვის ხანაში იყო 4 ათასი კკალ/დღეში, ფეოდალურ ეპოქაში – 12 ათასი, ინდუსტრიულ ეპოქაში – 70 ათასი, ხოლო XXI საუკუნის დასაწყისში – 240 ათასს გადააჭარბა. საშუალოდ, საერთო ნივთიერებათა გარსს, რომელსაც ადამიანი გადაადგილებს დედამინის ზედაპირზე აღემატება 4 ტრილიონ ტონას წელიწადში, მათ შორის 190 მილიარდ ტონაზე მეტი – სასარგებლო წიაღისეულია, 2,3 მილიარდ ტონაზე მეტი – საკვება, 10-11 მლრდ. კუბ. მეტრი – სასმელი წყალი და ა. შ. ადამიანის სამეურნეო საქმიანობა გასცდა გეოგრაფიული გარსის ძირითად სფეროს, შეაღწია დედამინის ქერქის ღრმა ფენებში და გავიდა კოსმოსურ სივრცეში. შეიქმნა განსაკუთრებული ხელოვნური სფერო – „ტექნოსფერო“, ანუ იგივე „ნოოსფერო“, სადაც ადამიანის საქმიანობა მთლიანად მეცნიერულ – ტექნიკურ პროგრესზეა დამოკიდებული.



როში ნორმალური ბუნებრივი პროცესების მიმდინარეობას.

მსოფლიოში აშკარადაა გამოკვეთილი ბიომრავალფეროვნების შემცირების ტენდენციები, რაც ძირითადად ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგია. ბიომრავალფეროვნების სივრცობრივ გავრცელებას ძირითადად ფარავს მცენარეთა სამყარო, რომლის შემცირების ტენდენციები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. X საუკუნეში ტყით იყო დაფარული ჩვენი პლანეტის 70%. ტყიანობის კოეფიციენტი ბოლო სამი საუკუნის განმავლობაში თითქმის განახევრდა. ამჟამად ტყეს უჭირავს 41 მლნ. კვ. კმ, ანუ ხმელეთის ფართობის 31%. საშუალოდ ერთ წუთში იჩეხება 20 ჰა ტყე. ხანძრების შედეგად ყო-



მეგობრის სახსოვრად



საუნივერსიტეტო გაზეთი თითქოსდა ახლახანს გვამცნობდა, პროფესორ მალხაზ სიორიძეს 50 წელი შეუსრულდაო. ბედნიერი დღე იყო. კოლეგებმა და მეგობრებმა დავლოცეთ, მოვეფერეთ... ერთი თვის უკან ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში მოეწყო მისი ბოლო ნაშრომის — "ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან" განხილვა. წიგნი ნაღდი ბათუმელების ხსოვნას მიუძღვნა თავადაც გამორჩეულმა ბათუმელმა. ჩანს, გრძნობდა დასასრულის მოახლოებას, ჩქარობდა, მეტი მოსწრებას ღებობდა... შეხვედრებზე დაგვიპირდა ბათუმის ისტორიის ნარკვევების გამოცემას, მაგრამ არ დასცალდა. შემოქმედებითი სიმნიფის ასაკში უმუხთლა ჯანმრთელობამ. რამდენის გაკეთებას ფიქრობდა, განუხორციელებელი დარჩა ბევრი ჩანაფიქრი... ბატონი მალხაზი დააკლდა ოჯახს, სანათესაოს, სამეგობროს, უნივერსიტეტს, ბათუმს; ქვეყანას დააკლდა კარგი შემოქმედი და პატრიოტი.

მალხაზ სიორიძე პედაგოგების ოჯახში გაიზარდა. ქალბატონი ზინა და ბატონი მაკარი ნახევარ საუკუნეზე მეტი ენოოდნენ პედაგოგიურ საქმიანობას აჭარის არ სხვადასხვა სკოლაში, ბოლო სამ ათეულ წელზე მეტი ახალშენის (ხელეჩაურის რაიონი) საშუალო სკოლაში. ნარმატებული პედაგოგები იყვნენ ბატონი მალხაზის მშობლები: დედა — ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა, მამა — ისტორიას. შვილი მშობლების კვალს გაჰყვა. ბათუმის პედინსტიტუტში ჩაირიცხა ისტორიისა და უცხო ენის

(ფრანგული ენა) სპეციალობაზე, რომლის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა დაიწყო ჯერ ახალშენის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად, მოგვიანებით — გადავიდა ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში. შემდეგ იყო ასპირანტურის წლები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, სადაც მის მეცნიერულ წვრთნას ხელმძღვანელობდა პროფესორი ილია ტაბაღაძე. ასპირანტურის დამთავრებისთანავე მ. სიორიძემ ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ბათუმის ოლქი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა გეგმებში“ (1914-1920 წწ). პერსპექტიული ახალგაზრდა მეცნიერი ისტორიის ინსტიტუტში დატოვდა სამუშაოდ, მაგრამ ბატონმა მალხაზმა მოხუცი მშობლები მარტო ვერ დატოვა და უარი თქვა თბილისში სამეცნიერო კარიერაზე. სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა დედისერთა. 1986 წლის დეკემბრიდან მან მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ისტორიის განყოფილებაში. 1993 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო ამ განყოფილების გამგე. ბატონმა მალხაზმა უფროს კოლეგებთან ერთად დიდი შრომა გასწია ოთხტომეულის „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა“ შესაქმნელად და გამოსაცემად. იგი იყო ამ გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრი და მესამე ტომის თანარედაქტორი.

მალხაზ სიორიძემ ინსტიტუტში არაერთ კარგ ნაშრომს ჩაუყარა საფუძველი. მისი ინიციატივით დაიწყო ბათუმის ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვეობის შესწავლა. მანვე

დააარსა კრებული „ბათუმი — წარსული და თანამედროვეობა“, იყო მისი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი. ტრადიციული გახდა ბათუმის პრობლემებზე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება. მ. სიორიძე ხელმძღვანელობდა კრებულის — „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები“ გამოცემას.

პროფ. მალხაზ სიორიძე ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწეოდა. მას გამოქვეყნებული ჰქონდა ოთხმოცზე მეტი შრომა, მათ შორის 5 ნიგნი, იყო მრავალი ნიგნის რედაქტორი და რეცენზენტი. მის სამეცნიერო ინტერესებში შედიოდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის პრობლემები, მისი სოციალური და ეკონომიკური განვითარების ცალკეული ასპექტები, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა... 2002 წელს ცალკე ნიგნად დაისტამბა მკვლევრის მონოგრაფია „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში“, რომელშიც ერთგვარად შეჯამდა ავტორის ოცნლიანი მუშაობა. ნიგნში კომპლექსურადაა შესწავლილი პირველი მსოფლიო ომისდროინდელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ვითარება, გაანალიზებულია ომამდელი და ომის პერიოდის საქალაქო ცხოვრება, ჭოროხის აუზის სამთო-მეტალურგიული მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ა.შ. მდიდარი საარქივო მასალის ანალიზის შემდეგ წარმოჩენილია მიზეზები, რამაც გამოიწვია ამ მხარის ომის ასპარეზად ქცევა.

1992-2007 წლებში მალხაზ სიორიძე ლექ-

ციებს კითხულობდა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იყო საქართველოს ისტორიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, 2004 წლიდან პროფესორი. ბატონი მალხაზი იყო არაერთი სამაგისტრო და სადოქტორო შრომის ხელმძღვანელი. იგი სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობას წარმატებით უთავსებდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას. იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს წინამორწინის დეპუტატი და თავმჯდომარის მოადგილე. უმაღლეს საბჭოში მუშაობისას წარმოჩნდა მისი ორგანიზატორული ნიჭი. წარმატებული საქმიანობისათვის 2007 წელს მალხაზ სიორიძე დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

აქვე აღვნიშნავთ ერთ საინტერესო ნაშრომებსაც: ყოველი წლის მარტში ქალაქის საზოგადოება პატივს მიაგებს 1921 წელს ბათუმისათვის ბრძოლაში დაღუპულებს. ამ მამულიშვილური ნამოწიების ინიციატორი თანამოაზრეებთან ერთად იყო ბატონი მალხაზი.

მალხაზ სიორიძემ ლამაზი ქართული ოჯახი შექმნა ქალბატონ თამარ ხომერიკთან ერთად. შვილები დათო და ნინო სტუდენტები არიან. დათო კავკასიის ბიზნეს სკოლაში სწავლობს (ახლახანს წარმატებით გაიარა სტაჟირება ამერიკის შეერთებულ შტატებში), ნინო კი — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ისინი ღირსეული მემკვიდრეები არიან ღირსეული მამისა.

ხანმოკლე იყო ბატონი მალხაზის სიცოცხლე. მიუხედავად ამისა ბევრის გაკეთება მოასწრო. მისმა უფროსმა ნასვლამ ბევრს დაწყვიტა გული. ცრემლით გააცილა ბათუმმა კიდევ ერთი გამორჩეული ბათუმელი. აცხონდა უფალმა მისი სული.

მეგობრები

მალხაზ სიორიძე

ადამიანის ამ ქვეყნიდან წასვლა ყოველთვის ტრაგედიაა ოჯახის წევრების, მეგობრებისა და ახლობლებისათვის, მითუმეტეს პიროვნებისა, რომელიც თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ყველაზე აქტიურ ფაზაში იმყოფება. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ბატონი მალხაზის სახით, დაკარგა საკუთარი ხელნერის მქონე მაღალი აკადემიზმითა და საკითხები-სადმი სიღრმისეული წვდომით გამორჩეული ლექტორი და მეცნიერ-მკვლევარი. მქონდა ბედნიერება ცხოვლიყავი მისი სტუდენტი, კოლეგა და უმცროსი მეგობარი. იგი იყო დახვეწილი ურთიერთობებში ასაკის მიუხედავად და ყოველთვის მზად საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გადასაცემად. მისი გამოცდილება, პედაგოგიური და პიროვნული თვისებები ხელს უწყობდა სტუდენტებში მოქალაქეობრივი

პოზიციის ჩამოყალიბებასა და ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების განმტკიცებას. ბატონი მალხაზი მუდამ დიდი სერიოზულობით უდგებოდა ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდა-მომზადებას. 1987 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, აქტიურად მონაწილეობდა მის სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დიდი წვლილი მიუძღვის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების ჩამოყალიბებაში. ბოლო ათწლეულის განმავლობაში იყო ამავე განყოფილების უფროსი. სულ ახლახანს ბატონმა მალხაზმა კონკურსის წესით კვლავ დაიკავა განყოფილების უფროსის ადგილი რუს-სამეცნიერო ცენტრში, მაგრამ სამსახურად, არ დასცალდა...

პროფესორ მალხაზ სიორიძეს გამოქვეყ-

ნებული აქვს ოთხმოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 5 მონოგრაფია. არის მრავალი ნიგნისა თუ მონოგრაფიის რედაქტორი და რეცენზენტი. იყო „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების (აჭარა)“ ოთხტომეულის სარედაქციო კოლეგიის წევრი და მე-3 ტომის რედაქტორი. მისი ნაშრომები ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებდა სამეცნიერო წრეებში. გამოირჩეოდა მაღალი მეცნიერული კეთილსინდისიერებით. მისი ნაშრომები ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებდა სამეცნიერო წრეებში. გამოირჩეოდა მაღალი მეცნიერული კეთილსინდისიერებით. ბატონი მალხაზი იყო ჭეშმარიტი ბათუმელი. მისი ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა ქალაქ ბათუმის ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვეობის შესწავლის პროექ-

ტი. მან ჩაუყარა საფუძველი ყოველწლიურ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას „ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა“, იყო ამავე დასახელების სერიული გამოცემის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე.

ბატონი მალხაზი იყო არა მარტო წარმატებული მეცნიერი და მკვლევარი, არამედ ავტორიტეტული და საუკეთესო ადამიანური თვისებებით შემკული პიროვნება. გამოირჩეოდა აქტიური ეროვნულ-მოქალაქეობრივი პოზიციით. მისი ნათელი ხსოვნა საშუალოდ დარჩება თანამშრომლებსა და მეგობრებში.

ირაკლი ბარამიძე,
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე

ღირსეული

წავიდა ჩვენგან ღირსეული მამულიშვილი, ღირსეული მეცნიერ-მკვლევარი, ღირსეული მოქალაქე და ღირსეული მეოჯახე, მეუღლე და მამა — ბატონი მალხაზ სიორიძე.

მალხაზ სიორიძეს მისი სტუდენტობიდან ვიცნობდი. მე მაშინ ახალგაზრდა დამწყები ლექტორი ვიყავი და ბუნებრივია, ახლოს ვიყავი სტუდენტებთან. ჩვენს შორის საკმაო ასაკობრივი სხვაობა იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ ნაყოფიერად ვთანამშრომლობდით საინსტიტუტო ღონისძიებებში. ბატონი მალხაზი გამორჩეული იყო როგორც სტუდენტი და მოქალაქე. ხოლო როცა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს გარდაეცვალა ბრწყინვალე ფილოსოფიის ლექტორი — ბატონი კოტე ბოლქვაძე, სტუდენტთა სახელით გამოსათხოვარი სიტყვა ბატონ მალხაზ სიორიძეს დაევალებოდა. გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვას უფროსი თაობის ადამიანებმაც, მაგრამ შინაარსის გათვალისწინებით და დახვეწილობით, ყველას მალხაზ სიორიძის სიტყვამ აჯობა. ეს იმ დღესვე აღინიშნა. მას შემდეგ თითქმის 30 წელიწადი გავიდა, მაგრამ იმ დღეს მალხაზ სიორიძის სიტყვებიდან მიღებული შთაბეჭდილება ჯერაც არ გამწე-

ლებია. ეს იყო მჭევრმეტყველების საუკეთესო ნიმუში.

შემდეგ ჩვენ ერთად ვმუშაობდით ხუთი წლის მანძილზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. პროფესორი მალხაზ სიორიძე ისტორიის განყოფილების გამგედ დამხვდა. ამ ხნის მანძილზე მხოლოდ სიამოვნებას განვიცდიდი ბატონი მალხაზის თანამშრომლობით. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ოთხტომეულზე პროფესორ აბელ სურგულაძესთან ერთად მისი მუშაობა.

ბატონი მალხაზი, ბატონ აბელ სურგულაძესთან ერთად, რედაქტორობდა ნარკვევების III ტომს. ნიმუშის მნიშვნელობა ჰქონდა მისი, როგორც თანარედაქტორის დამოკიდებულებას ავტორებთან. კრიტიკულად, აკადემიურად განიხილავდა თითოეული ავტორის ნარკვევს, მაგრამ ყოველთვის ინარჩუნებდა ზომიერების გრძნობას და ავტორებთან მისი კამათი არასოდეს გადასულა პიროვნულ შეუთავსებლობაში. შემდეგ, როცა გარდაიცვალა პროფესორი აბელ სურგულაძე (რომელსაც ბატონი მალხაზი ყოველთვის „მოდვა-

რის“ სახელითა და ღირსებით მოიხსენიებდა), მარტო დარჩენილმა მალხაზ სიორიძემ თითქოსდა გააორკეცა პასუხისმგებლობა და შრომა ტომის აკადემიური სრულყოფისათვის. ბატონი მალხაზის ამ ღირსებაში უშუალოდ დავრწმუნდით, როცა ტომის ტექსტის სტილისტურ დახვეწაზე დავინწყეთ ერთობლივი მუშაობა.

პროფესორი მალხაზ სიორიძე ნაყოფიერი მეცნიერ-მკვლევარი იყო. მისი ორიგინალურობა სრულყოფილად გამოვლინდა სამეცნიერო კონფერენციის მიგნებაში. ეს არის ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი“ (წარსული და თანამედროვეობა). ორჯერ მოესწრო ამ კონფერენციის ჩატარება ბატონი მალხაზის სიცოცხლეში (2009, 2010 წლები) და ორჯერვე დიდი ინტერესი გამოიწვია სხვადასხვა დარგის მეცნიერ-მოღვაწეთა შორის. ფაქტობრივად ეს იყო ენციკლოპედიური სახის შეხვედრები, რომელსაც ნაყოფიერი შედეგი მოჰქონდა თითოეული მონაწილისათვის. ძნელი სათქმელია, მომავალში ვინ შეძლებს მალხაზის გარეშე ამ კონფერენციის ჩატარებას. მაგრამ თუ აღმოჩნდა ჩვენ შორის ისეთი მოღვაწე და

განახლდა „ბათუმის“ პროგრამა, მაშინ მას ალბათ უნდა ვუწოდოთ „მალხაზ სიორიძის სახელობის მეცნიერთა შეხვედრები“. ასეთ პატივისცემას იმსახურებს ჩვენი ღირსეული თანამედროვე.

ბატონი მალხაზ სიორიძის მრავალ ღირსებათა შორის აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ იყო აქტიური პოლიტიკური მოღვაწე. ის წლების მანძილზე ოპოზიციაში ედგა „აღორძინების კავშირს“, მაგრამ არც მაშინ, როცა პოლიტიკურ ოპოზიციაში იყო და არც მაშინ, როცა არჩეული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, არც ერთხელ არ შევსწრებოვარ პიროვნული ამბიციების ტყვეობაში მის ყოფნას. ბატონი მალხაზი ისე წავიდა ამ ცხოვრებიდან, რომ პირადი მტერი არ გაჩენია და არ დარჩენია. მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა, პროფესორმა მალხაზ სიორიძემ ღირსეულად მოიხადა საკუთარი ვალი ყველას წინაშე.

პროფესორ მალხაზ სიორიძისთანა მოღვაწეებს დავინწყება არ უნერია.

სრული პროფესორი იური გიზილიაშვილი



იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის სამეცნიერო ანგარიში

ახალი ფორმა დეპარტამენტების თეორიული თუ პრაქტიკული საქმიანობის წარმოჩინებისა გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტის“ მკითხველთათვის. ვფიქრობთ, ცალკეულ დეპარტამენტთა ამგვარი ურთიერთობა ნათელ წარმოადგენს შეუქმნის არა მხოლოდ მკითხველ აუდიტორიას, არამედ აჩვენებს ფართო საზოგადოებას კონკრეტული დეპარტამენტის სამეცნიერო პოტენციალს სასწავლო-სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში.

იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტში დასაქმებულია 36 პროფესორ-მასწავლებელი, აქედან:

- სრული პროფესორი – 2
- ასოც. პროფესორი – 5
- ასისტ. პროფესორი – 6
- საათობრივი ანაზღაურებით – 25
- გამოქვეყნებულ ნაშრომთა რაოდენობა – 33
- სახელმძღვანელო – 0
- სხვა სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა – 2
- ასისტ. პროფ. ზურა კვიციანი
- კონკრეტულ და აბსტრაქტულ ნორმათა კონტროლის სუბიექტების თავისებურებები საკონსტიტუციო სასამართლოში, ბათუმი, 2010
- ISSN 1987-5894
- ISBN 978-9941-409-15-8

ავტორი წარმოაჩენს საკონსტიტუციო სასამართლოს სოციალური ფუნქციისა და კონსტიტუციურ-სამართლებრივ მნიშვნელობას.

მაგისტრანტი გოჩა კამკია (თანავტორობით) „ინკოტერმს – 2000“ (სავაჭრო ტერმინთა განმარტების საერთაშორისო წესები), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2010

ISBN 978-9941-12-845-5

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი არასაერთაშორისო ორგანიზაციებს ეკუთვნის. მათ შორის წამყვანი ადგილი საერთაშორისო სავაჭრო პალატას უჭირავს.

პალატის მიერ მიღებულ დოკუმენტთაგან პრაქტიკაში ყველაზე მეტად ცნობილია სავაჭრო ტერმინთა განმარტების საერთაშორისო წესები ე.წ. „ინკოტერმსი“. დღესათვის მოქმედებს 2000 წლის რედაქცია, რომელიც საფუძვლად დაედო წინამდებარე ნაშრომის ავტორების მცდელობას შექმნან პირველი პრაქტიკული დანიშნულების ქართულენოვანი, ვინობროფილური, საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული სუბიექტებისათვის დამხმარე სახელმძღვანელო.

მონოგრაფია – 3

ასისტ. პროფ. მალხაზ ნაკაშიძე
ხელისუფლების განმტკიცებათა პრეზიდენტის ურთიერთობათა თავისებურებანი მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემებში (აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის მაგალითზე), თბ., 2010; გამოქვეყნებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობისა და იურიდიული ფაკულტეტის ვებგვერდზე: <http://www.law.tsu.edu.ge/files/Malkhaz%20Nakashidzis%20sadasertacio%20nashromi-26.06.2010%20.pdf>

ნაშრომში განხილულია მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემებში პრეზიდენტსა და ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთობის ძირითადი თავისებურებები სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაგალითზე. გაანალიზებულია პრეზიდენტის განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელი ძირითადი კონსტიტუციური ნორმები, ასევე ის ძირითადი პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ პრეზიდენტის სამართლებრივ მდგომარეობაზე. ნაშრომში განხილულია პარლამენტთან, მთავრობასა და სასამართლო ხელისუფლებასთან პრეზიდენტის ურთიერთობის თითქმის ყველა ასპექტი. საბოლოოდ ნაშრომში ხაზგასმულია ხელისუფლების შტოებთან პრეზიდენტის ურთიერთობაში არსებული ძირითადი ნაკლოვანებები და წარმოდგენილია მათი აღმოფხვრისათვის აუცილებელი კონკრეტული რეკომენდაციები

მასწ. ანა ფირცხალაშვილი
Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung Georgiens
Universitaetsverlag Potsdam 2010
ISBN: 978-3-86956-045-8

ავტორის აზრით, კლასიკური გაგებით, ადამიანის უფლებათა-თავისუფლებათა პირველადი ფუნქცია უზრუნველყოფს ამ უფლებათა-თავისუფლებათა დაცულ სფეროში სახელმწიფოს ჩაურევლობას. თუმცა ძირითად უფლებათა განვითარებამ მოიტანა ის, რომ სახელმწიფო აღიქმებოდა არა მარტო ამ უფლებების პოტენციური დამრღვევი, არამედ ის უნდა იყოს ასევე ამ უფლებათა დამცველი.

ადამიანის უფლებათა მოქმედების ძალა ვრცელდება არამარტო ვერტიკალურად ადამიანსა და სახელმწიფოს შორის, არამედ ასევე ჰორიზონტალურად, კერძო პირებს შორის. ისინი ავალდებულებენ ხელისუფლების შტოებს მიიღონ ისეთი სამართლებრივი რეგულაციები, რომლებიც გამომდინარეობენ ძირითადი უფლებებიდან და ასე დაიცვან უფლების მატარებლები

არამარტო სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისაგან, არამედ მესამე პირებიდან მოსალოდნელი ან უკვე განხორციელებული ჩარევისაგან. ამიტომაც სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება გამომდინარეობს ძირითად უფლებათა არაპირდაპირი, ირიბი ქმედებიდან მესამე პირებს შორის.

სახელმწიფოს ეკისრება არამხოლოდ იმის ვალდებულება, რომ ის არ ჩაერიოს ამა თუ იმ უფლებით დაცულ სფეროში, არამედ ასევე ვალდებულება იმისა, რომ არ დაუშვას მესამე პირების ჩარევა დაცულ სფეროში.

მასწ. გივი აბაშიძე
„დამცველი სისხლის სამართლის პროცესში (წინასწარი გამოძიების და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე), გამომცემლობა – „ინოვაცია“, თბილისი, 2010

ნაშრომი ეხება სისხლის სამართლის პროცესის თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას. მასში განხილულია და ჩამოყალიბებულია წინასწარი გამოძიების და პირველი ინსტანციის სასამართლოში, სისხლის სამართლის საქმის განხილვის სტადიაზე, დამცველის მონაწილეობის თეორიული და სამართლებრივი საფუძვლები. კერძოდ, დამცველის ცნება და არსი, დაცვის ცნება, დამცველის საპროცესო მდგომარეობა, ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი, ადვოკატის საქმიანობის პროფესიული ეთიკის საკითხები.

ნაშრომში ძირითადი საკითხები განხილულია საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან მიმართებაში, რომელიც ძალაში შედის მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრის დღიდან.

ნაშრომში დეტალურად არის წარმოდგენილი წინასწარი გამოძიების და პირველი ინსტანციის



სასამართლოში, სისხლის სამართლის საქმის განხილვის სტადიაზე დამცველის მონაწილეობის მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხები, მეცნიერ-იურისტების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებში, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე, გადმოცემულია ავტორის საკუთარი შეხედულებები.

სტატია საქართველოს რეცენზირებად/რევიზირებად ფურხანებში – 27

პროფესორი ბესარიონ ზოძი
„ქართული სამართალი, როგორც ევროპული სამართლის ნაწილი (ისტორიულ სამართლებრივი ასპექტი), კრებული „სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, ნიშნა 1, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი

ნაშრომში განხილულია ქართული სამართლის განვითარების ისტორია, კერძოდ ძველ ქართულ სამართალზე ბერძნულ-რომაული, აღმოსავლური, გერმანული და რუსული სამართლის გავლენები. ნაშრომიდან ცანს, რომ საქართველო ისტორიულად განიცდიდა ბერძნულ-რომაული სამართლის არსებობს გავლენებს. საქართველოში ადგილი ჰქონდა მის ზომიერ რეცეფციას, რამაც გადავიდა თანამედროვე ევროპული სამართლის განვითარებად დღევანდელ საქართველოში.

2. ასოც. პროფ. მურმან გორგოშაძე
კანონპროექტის ექსპერტიზა: ცნება, სახეები, დანიშნულება // მართლმსაჯულება და კანონი, 2010, №4.

ISSN 1512-388

ავტორის აზრით კანონპროექტის ექსპერტიზა ექსპერტიზის ერთ-ერთი სახეა და კანონპროექტის სპეციალურ ამოცანას, მისი კონსტიტუციასთან, მოქმედ კანონმდებლობასთან, საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და საკანონმდებლო ტექნიკის წესებთან შესაბამისობის დამდგენის მიზნით ჩატარებული კვლევა-ძიების საფუძველზე გაკეთებულ დასკვნას წარმოადგენს. მისი როლი დღით დღე იზრდება და იურიდიულად გამართული კანონმდებლობის შექმნის აუცილებელი ელემენტი ხდება.

კანონპროექტის ექსპერტიზის ეფექტური ინსტიტუტის დასაშვადრებლად მიზანშეწონილია: ექსპერტის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა; კანონპროექტის ექსპერტიზის სამართლებრივი რეგულირება; ერთგვარი სტანდარტული სახელმძღვანელო დოკუმენტის შექმნა გზამკვლევი პრინციპებით და კითხვებით; კანონპროექტის ექსპერტიზის საქმეში მეცნიერების შესაძლებლობების ფართო გამოყენება; საკანონმდებლო ორგანოს პროფესიული კომპეტეტებთან შესა-

ბამისი დარგობრივი სამართლის საექსპერტო საბჭოს ჩამოყალიბება და სხვა.

3. ასოც. პროფ. მურმან გორგოშაძე
სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიმართების ევოლუციის საკითხისათვის // სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის შრომები, I, თბილისი, 2010, გამომცემლობა „უნივერსალი“, ISSN 1987-9571,

სტატიაში განხილულია სამოქალაქო საზოგადოებისა და თანამედროვე სახელმწიფოს ურთიერთმიმართების საკითხი. გაანალიზებულია თანამედროვე სახელმწიფოს არსისა და ფუნქციის ცვლილებებიდან გამომდინარე სამოქალაქო საზოგადოებისა და თანამედროვე სახელმწიფოს ურთიერთმიმართების ევოლუცია. ნაჩვენებია, რომ სამოქალაქო საზოგადოება და თანამედროვე სახელმწიფო ფუნქციების გადანაწილების გზით ავსებენ ერთმანეთს.

ასოც. პროფ. მურმან გორგოშაძე
მთელისა და ნაწილის ურთიერთობის უნივერსალური პრინციპები საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ მოწყობასთან მიმართებაში // ცხოვრება და კანონი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ფურნალი, 2010, №3, თბილისი, ISSN 1512-3308

ავტორის აზრით საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა საქართველოს ტერიტორიის, როგორც გარკვეული შინა არსის, მისი არსების გამოვლენა-გამოხატვასთან ერთად მისი არსებობის შენარჩუნებისა და განვითარების შესაძლებლობაცაა. ამიტომ საქართველოს სახელმწიფოს მომავალი ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა, უნდა წარმოადგენდეს არა წვერი სუბიექტებისაგან,

უფლებამოსილება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი) ფურნალი „საერთაშორისო სამართლის ფურნალი“, №2, 2009, №1, 2010 (ქართულ და ინგლისურ ენაზე); ნაშრომში გამოკვლეულია მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემაში პრეზიდენტისათვის მინიჭებული საკანონმდებლო უფლებამოსილებები სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაგალითზე. ევროპის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით გაანალიზებულია საკანონმდებლო ხელისუფლების სფეროში პრეზიდენტის ისეთი უფლებამოსილებები, როგორცაა: კანონის ძალის მქონე აქტების გამოცემა, ვეტოს უფლება, რეფერენდუმის დანიშვნა, საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, პარლამენტში ბიუჯეტის წარდგენის უფლება და სხვა. ნაშრომში განხილულია პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელების შედეგად პარლამენტის ძალაუფლების შესუსტებისა და პრეზიდენტის ძალაუფლების ზრდის საკანონმდებლო და პოლიტიკური ასპექტები.

ასისტ. პროფ. მალხაზ ნაკაშიძე
მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის ცნება და კლასიფიკაცია, უფრ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2010 წლის №1 (24)10

სამეცნიერო ნაშრომში გაანალიზებულია თანამედროვე კონსტიტუციური სამართლისა და პოლიტიკური მეცნიერების სფეროში ერთ-ერთი აქტუალური საკითხი – მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის ცნება და კლასიფიკაცია. სტატიაში წარმოდგენილია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის შესახებ გავრცელებული ძირითადი მიდგომები, ფართოდ არის გაანალიზებული სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის კლასიფიკაცია.

ასისტ. პროფ. ირაკლი აბაშიძე (თანავტორობით)

დამცველი წინასწარი გამოძიების სტადიაზე. ფურნალი „სოციალური ეკონომიკა“ (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის და ევროპული უნივერსიტეტის საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ფურნალი), №3, 2010

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია წინასწარი გამოძიების სტადიაზე დამცველის მონაწილეობის სამართლებრივი საფუძვლები, საპროცესო მდგომარეობა და ფუნქციები. კონკრეტულად, გადმოცემულია წინასწარი გამოძიების სტადიაზე დამცველის საქმიანობის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც არის დამცველის უფლება-მოვალეობანი ეჭვმიტანილის სახით პირის დაკავებისა და მისთვის ბრალდების წარდგენის დროს, დამცველის მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედებებში და მტკიცების (მტკიცებულებების) შეგროვების პროცესში.

სტატიაში ყურადღება გამახვილდა წინასწარი გამოძიების სტადიაზე ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მნიშვნელობაზე, დამცველის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებზე, დაცვის სტრატეგიაზე, საგამოძიებო მოქმედებებში დამცველის აქტიურ მონაწილეობაზე, მის როლზე დაცვის ფუნქციის წარმატებით შესრულების საქმეში, ზოგადად კი უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ პრინციპზე- გარანტირებული დაცვის უფლებაზე, რაც სისხლის სამართლის პროცესის ამოცანათა შორის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს.

ასისტ. პროფ. ირაკლი აბაშიძე (თანავტორობით)

დამცველი პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის სტადიაზე. ფურნალი „სოციალური ეკონომიკა“ №4, 2010

წარმოდგენილ ნაშრომში გადმოცემულია დამცველის საპროცესო მდგომარეობა და ფუნქციები პირველი ინსტანციის სასამართლოში, სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს. კერძოდ, განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც არის დამცველის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობა, მისი შეხვედრა და საუბარი განსასჯელთან, შუამდგომლობის და აცხადების განცხადება, მტკიცებულებების წარდგენა, მონაწილეობა სასამართლო გამოძიებაში, დაკითხვებში და სხვ.

სტატიაში საუბარია შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებზე აგებული სასამართლო პროცესის დროს დაცვის პრობლემის აქტუალურ საკითხებზე, დამცველის საქმიანობის ძირითად მიზნებზე, მის როლსა და ადგილზე სამართალმცოდნეობის პროცესში, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვაში დამცველის ძირითადი საპროცესო ფუნქციის – დაცვის განხორციელების მყარ გარანტიაა.

მასწ. დავით კვეციანი
მოზარდის პასუხისმგებლობისა და იუვენალური იუსტიციის ისტორიული ასპექტების შესახებ, საერთაშორისო კონფერენცია „სამართლის



დასაწყისი 7-მე.

აქტუალური პრობლემები „ 2010 წლის 18-19 დეკემბერი, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, თბილისი, შრომათა კრებული.

ამ ბოლო დროს, ექსპერტთა აზრით, საქართველოში მკვეთრად მოიმატა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის რიცხვი. საქართველოში არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი სასამართლოთა სისტემა არ ფუნქციონირებს. არასრულწლოვანთა ასაკი, საიდანაც დაგვიდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ზოგიერთი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში განისაზღვრა 12 წელი, თუმცა დღეისათვის ეს ასაკი კვლავ 14 წლამდე აინია; ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის არასრულწლოვანს აღარ (2010 წლის ნოემბრიდან) გაასამართლებენ, თუ მან დანაშაული პირველად ჩაიდინა, დანაშაული აღიარა და დაზარალებულს ბოდიში მოუხადა. საპრობლემის ნაცვლად, ის დაზარალებულის სასარგებლოდ გარკვეულ ქმედებას შეასრულებს. არასრულწლოვანი დამნაშავეებისთვის დანაშაულის გამოსაფხვინი, იგივე „განრიგებისა და შედარების“ პროგრამა საქართველოში უკვე ამოქმედდა. პროგრამაში ის არასრულწლოვნები მოხვედებიან, რომელთა დანაშაულის სიმძიმე მხოლოდ ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მასწ. გივი აბაშიძე, თანაავტორობით შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში.

ფურნალი „ინტელექტუალი“ (საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებრივი აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო ფურნალი), №13, 2010

წარმოდგენილ ნაშრომში, განხილულია თანამედროვე მართლმსაჯულების ცივილიზებული ფორმა – შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში, მისი წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორიული ასპექტები. გადმოცემულია შეჯიბრებითობის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის დემოკრატიული პრინციპის არსი და მნიშვნელობა, მისი განხორციელების თავისებურებები წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის სტადიაზე, მეცნიერ-იურისტების მოსაზრებები

შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელების თაობაზე, სათანადო წყაროებზე დაყრდნობით მოყვანილია ჩვენი შეხედულებები და არგუმენტები მათი მოსაზრებების გარშემო.

მასწ. გივი აბაშიძე

დამცველის სიტყვის ეთიკა.

ფურნალი „სოციალური ეკონომიკა“ (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის და ევროპული უნივერსიტეტის საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ფურნალი), №2, 2010

წარმოდგენილ ნაშრომში, განხილულია საკითხები დამცველის სიტყვის სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების შესახებ, რამდენადაც მისი მონაწილეობა სასამართლო კამათში ექვემდებარება გარკვეულ მორალურ და ზნეობრივ საწყისებს. ის, სასამართლო განხილვის სხვა მონაწილეებზე მეტად არის ვალდებული, პატივი სცეს განსასჯელის ღირსებას, გაუფრთხილდეს მის თავმოყვარეობას და გამოვიდეს მის დასაცავად, გამოვიდეს მხოლოდ დაცვის კანონიერი მეთოდები და საშუალებები. სასამართლოში, მხარეთა შეჯიბრება, კამათი დაფუძნებული უნდა იყოს მხოლოდ სინდისზე, სამართლიანობაზე და კანონზე. ნაშრომში გადმოცემულია დამცველის მხრიდან სამართლებრივი, ზნეობრივი, ეთიკური მოთხოვნების, საკუთარი, განსასჯელის და საქმეში მონაწილე სხვა პირების ღირსების დაცვის, სასამართლოსადმი პატივისცემის, დაცვის დროს უარყოფითი ზნეობრივი თვისებების დაუშვებლობის საკითხები.

მასწ. გივი აბაშიძე

სისხლის სამართლის პროცესის ცნების საკითხისათვის

ფურნალი „სოციალური ეკონომიკა.“ №3, 2010

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია სისხლის სამართლის პროცესის ცნება, არსი, მიზანი და ამოცანები, პროცესის მონაწილე ორგანოების და პირების საპროცესო საქმიანობა, პროცესის მონაწილე პირთა საპროცესო ურთიერთობები. გადმოცემულია საკითხები სისხლის სამართლის პროცესისა და მართლმსაჯულების თანაფარდობის, სისხლის სამართლის გარანტიების, სისხლის სამართლის პროცესის სტადიების, საპროცესო ფუნქციების არსისა და სახეების, მათი სამართლებრივი რეგულირების შესახებ. სისხლის სამართლის პროცესის არსის, სტადიების და ფუნქციების გაგება განხილულია საზღვარგა-

რეთის ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მაგალითზე.

მასწ. გივი აბაშიძე საპროცესო სტატუსი და ფუნქციები სისხლის სამართლის პროცესში.

ფურნალი „ინტელექტუალი“ №14, 2010

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია სისხლის სამართალწარმოებაში ექსპერტის საპროცესო სტატუსი და მისი ფუნქციები, კრიტიკურობა, რომელიც აუცილებელია პირის ექსპერტად დანიშნვისათვის. გადმოცემულია ექსპერტის, როგორც პროცესის მონაწილის როლსა და მნიშვნელობაზე სპეციალური ცოდნის გამოყენებით, საექსპერტო კვლევის გზით და კანონით დადგენილი საპროცესო ფორმით, ექსპერტის ჩატარების და დასკვნის გაცემის საქმეში.

მასწ. გივი აბაშიძე

დამცველი წინასწარი გამოძიების სტადიაზე.

ფურნალი „სოციალური ეკონომიკა“. თანაავტორობით- ირაკლი აბაშიძე,

№3, 2010

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია წინასწარი გამოძიების სტადიაზე დამცველის მონაწილეობის სამართლებრივი საფუძვლები, საპროცესო მდგომარეობა და ფუნქციები. კონკრეტულად, გადმოცემულია წინასწარი გამოძიების სტადიაზე დამცველის საქმიანობის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც არის დამცველის უფლება-მოვალეობანი ეჭვმიტანილის სახით პირის დაკავებისა და მისთვის ბრალდების წარდგენის დროს, დამცველის მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედებებში და მტკიცების (მტკიცებულებების) შეგროვების პროცესში.

სტატიაში ყურადღება გამახვილდა წინასწარი გამოძიების სტადიაზე ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მნიშვნელობაზე, დამცველის საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე, დაცვის სტრატეგიაზე, საგამოძიებო მოქმედებებში დამცველის აქტიურ მონაწილეობაზე, მის როლზე დაცვის ფუნქციის წარმატებით შესრულების საქმეში, ზოგადად კი უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ პრინციპზე- გარანტირებული დაცვის უფლებაზე, რაც სისხლის სამართლის პროცესის ამოცანას შორის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს.

მასწ. გივი აბაშიძე

დამცველის მონაწილეობა სასამართლო კა-

მათში.

ფურნალი „სოციალური ეკონომიკა“ „№4, 2010 წარმოდგენილ ნაშრომში გადმოცემულია დამცველის საპროცესო მდგომარეობა და ფუნქციები პირველი ინსტანციის სასამართლოში, სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს. კერძოდ, განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც არის დამცველის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობა, მისი შეხვედრა და საუბარი განსასჯელთან, შუამდგომლობის და აცილების განცხადება, მტკიცებულებების წარდგენა, მონაწილეობა სასამართლო გამოძიებაში, დაკითხვებში და სხვ.

სტატიაში საუბარია შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებზე აგებული სასამართლო პროცესის დროს დაცვის პრობლემის აქტუალურ საკითხებზე, დამცველის საქმიანობის ძირითად მიზნებზე, მის როლსა და ადგილზე სამართალწარმოების პროცესში, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვაში დამცველის ძირითადი საპროცესო ფუნქციის – დაცვის განხორციელების მყარი გარანტიაა.

წარმოდგენილ ნაშრომში გადმოცემულია დამცველის საპროცესო მდგომარეობა და ფუნქციები პირველი ინსტანციის სასამართლოში, სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს. კერძოდ, განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც არის დამცველის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობა, მისი შეხვედრა და საუბარი განსასჯელთან, შუამდგომლობის და აცილების განცხადება, მტკიცებულებების წარდგენა, მონაწილეობა სასამართლო გამოძიებაში, დაკითხვებში და სხვ.

სტატიაში საუბარია შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებზე აგებული სასამართლო პროცესის დროს დაცვის პრობლემის აქტუალურ საკითხებზე, დამცველის საქმიანობის ძირითად მიზნებზე, მის როლსა და ადგილზე სამართალწარმოების პროცესში, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვაში დამცველის ძირითადი საპროცესო ფუნქციის – დაცვის განხორციელების მყარი გარანტიაა.

დასასრული იხილეთ შემდეგ ნომერში

ღირსეული სვლა

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტი ყველაფერს აკეთებდა და აკეთებს იმისათვის, რომ ამ დარგის კურსდამთავრებულთა სახით ღირსეული ცვლა მომზადდეს, როგორც საგანმანათლებლო სისტემისათვის, ისე სამეცნიერო საზოგადოებისათვის. მიზნის მისაღწევად არაერთი დაინტერესო ღონისძიება ჩატარებული დეპარტამენტის მიერ, როგორც ადგილზე, ისე ქალაქისა და რაიონების საჯარო სკოლებსა თუ სხვადასხვა დაწესებულებებში.

მათემატიკის დეპარტამენტის ლექტორ-მასწავლებლები ყოველთვის გამოირჩეოდნენ მაღალი დონის ლექცია-სემინარებით, რომელსაც ხელს უწყობდა და უწყობს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა საქმიან კავშირს პროფესიული და შრომითი გამოცდილების გაზიარების მიზნით, ასევე ზნეობრივ-პატრიოტული გრძნობის- ქვეყნისა და ხალხის სიყვარულის ჩანერგვას, რაც აუცილებელი ფაქტორია ნებისმიერი პედაგოგისათვის.

აღარ მოქმედებს ძველი წესი – კურსდამთავრებულთა განაწილება სახელმწიფოს მიერ კონკრეტულ სკოლებში, როდესაც დამწველი პედაგოგი ვალდებული იყო, სურვილის მიუხედავად, დამორჩილებოდა ამ წესს, თუმცა, თავის დროზე ასე მიიღო სასკოლო განათლება ჯერ კიდევ ადრე, განსაკუთრებით ზემო აჭარის სოფლების მოსახლეობამ. პედაგოგთა საკმაოდ ძლიერი ნაკადი მაშინ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან (გურია, იმერეთი, კახეთი, ქართლი, სამეგრელო...) მივიდნენ იქნა და სწორედ მათი თავდაუზოგავი მუშაობით აჭარის მაღალმთიანეთს განათლებული და წარმატებული არაერთი ღირსეული ცვლა გაეზარდა. მსგავსი მიზნობრივი პროგრამები დღესაც მუშაობს, ოღონდ ერთი განსხვავებით: პროგრამაში მონაწილეობის მიღება არის ნებაყოფლობითი და ნებისმიერ დამწველ თუ სტაჟიან პედაგოგს სურვილისამებრ მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია.

ამ პატარა ჩანაწერის მიზანია მოგიტხროთ ორ ახალგაზრდა მათემატიკოსზე, იასა და ნინოზე, ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებულებზე, რომლებმაც საკუთარი სურვილით მონაწილეობა მიიღეს პროექტში „ასწავლე საქართველოსთვის“ და წავიდნენ სამუშაოდ: ია ემინაძე ადიგენში ლორთუბნის საჯარო სკოლაში, ხოლო ნინო გორგილაძე კი წალკაში ნეო-ხარაბას საჯარო სკოლაში აირჩია. აღსანიშნავია, რომ ორივე მათგანი ქობულეთის მკვიდრია და ისინი უნივერსიტეტში ფრიადოსანი და მისაბაძი სტუდენტები იყვნენ.

მათემატიკის დეპარტამენტის ლექტორ-მასწავლებელთა სახელით იასა და ნინოს ვულოცავთ დიდ გამარჯვებას პროფესიულ საქმიანობაში და ვუსურვებთ მომავალ წარმატებებს.

მ. სურმანიძე

გთავაზობთ კურსდამთავრებულთა მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს:

ნინო გორგილაძე

ნინო გორგილაძე, დაიბადა 1988 წლის 26 მარტს, ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეში. 2005 წელს წარჩინებით დაამთავრა სოფელ შუალელეს საჯარო სკოლა



და სახელმწიფო გრანტით ჩაირიცხა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსი-

ტეტის მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის სპეციალობაზე. 2009 წლის აპრილში (უნივერსიტეტის დამთავრებას თვეებია აკლდა) უნივერსიტეტში შედგა პროექტის „ასწავლე საქართველოსთვის“ პრეზენტაცია, რომელიც ითვალისწინებდა მაღალმთიან რაიონებში კვალიფიციური

კადრების მიზიდვას. და სწორედ მაშინ ჩაერთო ამ პროექტში, რამდენიმე ეტაპის წარმატებით დამთავრების შემდეგ, ნინომ მუშაობა დაიწყო წალკის რაიონის სოფ. ეო-ხარაბას საჯარო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად. „მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა და საერთოდ სოფელმა, თბილისად მიმიღო. ყოველთვის ცდილობენ, რაიმეთი მასამოვონ. სიხარული-სა და ბედნიერებისგან

აღფრთოვნებას ვეღარ ვფარავ. სკოლის ყველა პედაგოგი აღნიშნავს, რომ მსგავსი პროექტი სკოლას, რომელიც კადრების დეფიციტს განიცდის, დიდად წაადგება. ბავშვები ძალიან ნიჭიერები არიან, საცოდაობა მათი უმასწავლებლოდ დატოვება, არ სჭირდებათ მუდმივი თხოვნა იმი-სათვის, რომ გაკვეთილი მოამზადონ, დაეალება დაწერონ და ა.შ მე ძალიან ბედნიერი დღეები გავატარე მათ გვერდით, ეს სასწავლო წელიც და უნდა დავტოვო ის ადგილი, სადაც ჩემი „პირველი მოსწავლეები“ ცხოვრობენ, ყურადღებიანი, მოსიყვარულე და თბილები.

ხშირად მახსენდება ჩემი ლექტორის, ვლადიმერ ხალვაშის გულში-ჩამწვდომი სიტყვები: „თუ ბავშვი არ გიყვარს, სწავლა-სწავლება არ შედეგობა“. ბატონ ვლადიმერს სიყვარულის დიდი ნიჭი აქვს და თუ შესაძლებლობა იქნება, მინდა გავხუთის საშუალებით მაღლობა ვუთხრა იმ თანადგომისა და მზრუნველობისათვის, რასაც იჩენდა ეს ადამიანი ყოველი სტუდენტისა და ჩემს მიმართ. ჯანმრთელობა და სიკეთე მინდა ვუსურვო.

შეძლებისდაგვარად ყოველთვის შევეცდები მისგან ეს სიყვარული და თანადგომა ადამიანებისადმი ჩემი ცხოვრების წესადაც ვაქციო“.

ია ემინაძე

დაიბადა ქ. ქობულეთში. 2005 წელს დაამთავრა ქობულეთის №1 საჯარო სკოლა და ამავე წელს ერთიანი ეროვნული გამოცდე-



ბის საფუძველზე გახდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის I-კურსის სტუდენტი (მათემატიკის სპეციალობით).

„IV კურსს ვამთავრებდით, როცა უნივერსიტეტში მოვიდა „ასწავლე საქართველოსთვის“ პროექტის კოორდინატორი და გავაცნო პროექტის პირობები. მე და ჩემმა ურსელებმა გადაწყვიტეთ ბედი გვეცადა და წარმატებისთვის მიგვეღწია. მცდელობამ გაამართლა და თბილისში მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ცენტრში კურსების გავლის შემდეგ ადიგენის რაიონში, სოფელ ლორთუბანში გამიშვეს მათემატიკის მასწავლებლად, სადაც ამჟამადაც ვასწავლი. აქ სოფლის მკვიდრმა, მიქელაძის ოჯახმა, საკუთარი შვილივით მიმიღო. შევეთვისე სკოლას, პედაგოგურ კოლექტივს, მოსწავლეებს. ამჟამად მაგისტრატურაში ვსწავლობ და ლექციებს უნდა დავესწრო, რის გამოც ძალიან გამიჭირდება სკოლის მიტოვება. განსაკუთრებით, ჩემს პატარა მეგობრებთან განხორციელება. მათ მოსაგონებლად პატარა პატარა სუვენირები და ღია ბარათებილა დამრჩება. აქ გატარებული 2 წელი მკონი მართლაც სასიამოვნო მოგონებად დამრჩება ჩემს ცხოვრებაში.



გლობალიზაცია და სკოლის საბჭოვარი

სიტყვა „გლობალიზაცია“ ლათინურია და ნიშნავს საერთოს, მთლიანს, რაც მთელ მსოფლიოს მოიცავს.

გლობალიზაცია, როგორც იტყვიან, „არ ახალია, ძველია“. მას ისევე ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, როგორც ცივილიზაციას. ჯერ კიდევ ანტიკური ხანის დიდი მოაზროვნე მარკუს ავრელიუსი წერდა: მე ვარ რომის მოქალაქე, ხოლო როგორც ადამიანი, მსოფლიოს მოქალაქეც ვარო. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეული ჩვენგანი პალუსტრინის მთლიანად თავისი სახელმწიფოსა და კაცობრიობის წინაშე.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, გლობალიზაცია არის პოლიტიკა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს კაცობრიობის ცხოვრება.

გლობალიზაცია მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს: განათლებას, კულტურას, ეკონომიკას, პოლიტიკას და სხვ.

გლობალიზაციას გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, რაც ყოველგვარი სიახლისათვისაა დამახასიათებელი. ამიტომ საზოგადოების ერთი ნაწილი იწონებს მას, მეორე ნაწილი კი მის წინააღმდეგ გამოდის. ერთი მასში ხედავენ „ნაციონალური საზღვრების წაშლას“, „ეროვნულ ფასეულობათა უარყოფას“, „ეროვნულ პრინციპებზე მოწყობილი სახელმწიფო სისტემის რღვევას“ და ა.შ., მეორე კი მასში მოიაზრებენ მსოფლიო ფასეულობებთან თანაზიარობას, მსოფლიო საზოგადოებრივ ურთიერთობებში ჩართვას და სხვა პროცესებს. ორივე მხარეს სათანადო არგუმენტები გააჩნია, მაგრამ ფაქტი ერთია – გლობალიზაცია სრული რეალობაა და იგი შეუქცევად ხასიათს ატარებს. მისი შეჩერება დღეს არავის ძალუძს და ალბათ არც არის საჭირო, რადგან არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია მსოფლიოს ქვეყნებისაგან იზოლირებულად განვითარება. საჭიროა მხოლოდ გლობალიზაციის სიღრმეში კარგად ჩახედვა და იმის დადგენა, თუ რაა მასში კარგი და რა – ცუდი, რათა ის, რაც ჩვენთვის საჭირო და სასარგებლოა, გადმოვიღოთ, უსარგებლო და საზიანო კი თავიდან ავიცილოთ.

ქვეყნის ბედ-იბნადი, მისი ხალხის კეთილდღეობა, უწინარეს ყოვლისა, მოზარდი თაობის განათლების დონეზეა დამოკიდებული. საზოგადოების ისტორიული განვითარების ყველა პერიოდში მხოლოდ ის ქვეყანა იყო ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი, რომელსაც უკეთ შკონდა გადაწყვეტილი მომავალი თაობის აღზრდის პრობლემა. ჯერ კიდევ 1863 წელს „საქართველოს მოამბეში“ ილია ჭავჭავაძე წერდა: „ქვეყნის მყოფადი მდგომარეობა დამოკიდებულია იმ მიმართულებაზედ, რომელსაც მისცემენ ახალ თაობას“. ამიტომ დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ არაფერი შეგვეშალოს და ჩვენი ერის ინტერესები არ დავაზარალოთ, რადგან აქ დაშვებული შეცდომები ძალზე ძვირად უჯდება ერს, ზოგჯერ კი მისი გამოსწორება შეუძლებელიცაა.

ნებისმიერი ერის ეროვნული ინტერესების შესახებ, ხელყოფა და ინტეგრირება ეროვნული ცნობიერებისა და განათლების ხელყოფით იწვევა. საქართველოს განათლების ისტორიას ამის უამრავი მაგალითი გააჩნია. ყოფილ საბჭოთა კავშირში შემოღებული იყო ერთიანი სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები, რომლებიც არ ითვალისწინებდნენ ეროვნულ თავისებურებებს, რადგან იგნორირებული იყო ყოველი ერის ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები და ადამ-წესები. განათლების მსხვერპლებს ავინყდებოდათ ან სპეციალურად ივინყდებდნენ პედაგოგიკის კლასიკოსების მიერ დიდი ხნის წინ დამტკიცებულ და აპრობირებულ იმ ურყევ ჭეშმარიტებას, რომ ყოველ ხალხს, რაღვინ იგნორირებული იყო ყოველი ერის ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები და ადამ-წესები. განათლების მსხვერპლებს ავინყდებოდათ ან სპეციალურად ივინყდებდნენ პედაგოგიკის კლასიკოსების მიერ დიდი ხნის წინ დამტკიცებულ და აპრობირებულ იმ ურყევ ჭეშმარიტებას, რომ ყოველ ხალხს, რაღვინ იგნორირებული იყო ყოველი ერის ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები და ადამ-წესები. განათლების მსხვერპლებს ავინყდებოდათ ან სპეციალურად ივინყდებდნენ პედაგოგიკის კლასიკოსების მიერ დიდი ხნის წინ დამტკიცებულ და აპრობირებულ იმ ურყევ ჭეშმარიტებას, რომ ყოველ ხალხს, რაღვინ იგნორირებული იყო ყოველი ერის ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები და ადამ-წესები.

ის ქვეყანა აღწევს. ეს ხდება იმიტომ, რომ მოზარდზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ ოჯახი და სკოლა, არამედ ის გარემო, ბუნება, რომელშიც ბავშვი იზარდა და უზრუნველყოფილია, სადაც არის მისი გენეტიკური ფესვები. აღნიშნულიდან გამომდინარე ნებისმიერი საგნის სწავლებას სკოლაში საფუძვლად უნდა დაედოს ბუნებისმეტყველების პრინციპი, რომელიც განუყოფელია ეროვნულობის პრინციპისაგან. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარ, ეროვნულ ნაჭურჭელზე ჩავიკეტოთ და უარი ვთქვათ იმ პროგრესულ იდეებზე, რასაც მონიშნავენ ქვეყნების გამოცდილება გვთავაზობს. საჭიროა მხოლოდ კარგად გააზრებული ნაბიჯების გადადგმა, რომ რაც შეიძლება ნაკლები ზიანი და მეტი სარგებლობა მივიღოთ გლობალიზაციისაგან. ცხადია, დღეს ჩვენ უარს ვერ ვიტყვით სწავლების სიახლეებზე. ეს აუცილებელია, მაგრამ ეროვნული განათლების ჩარჩოები არ უნდა მოეშალოს და არ უნდა დავეკარგოთ თვითმყოფადობა არც განათლებისა და კულტურის და არც სულიერ სფეროში. სამწუხაროდ, დღეს ჩვენ ვივინყებთ საკუთარ მიღწევებს და ვაიდეალებთ ყოველივე უცხოურს. ამის გასაჭირი კი ჩვენ ქვეყანას არა აქვს. იგი ხომ უძველესი კულტურის ქვეყანაა. საქართველო 150-200 წლით წინ უსწრებს ევროპულ რენესანსს. ქვეყანას, რომელსაც ჯერ კიდევ IV საუკუნეში შკონდა ფაზისის აკადემია, სადაც ქართველებთან ერთად ბერძენებიც კი იღებდნენ უმაღლეს განათლებას, სხვაზე ნაბაძვა არ სჭირდება.

უკანასკნელ პერიოდში საქართველო განვითარებადი ქვეყნების სიაში აღმოჩნდა, რამაც საგრძობლად გააძვირა მდგომარეობა. ათასი ჯურის ოკეანისგული თუ დასავლეთელი „კეთილმოსურნი“ ისე შემოდის ჩვენს ქვეყანაში, როგორც ნახევრადველურ ქვეყნებში შედიან ხოლმე და შემოაქვთ ისეთი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც სრულებით არ უწევენ ანგარიშს იმას, რომ ჩვენ თამარ მეფის, შოთა რუსთაველის, დავით აღმაშენებლის, ილიას, იაკობის, აკაკის, ვაჟას თუ გალაკტიონის ქვეყანა ვართ.

დღეს მოდაშია ყოფილი საბჭოთა კავშირის განათლების სისტემის აუგად მოხსენიება, მაგრამ ახლა რომ უარესი მდგომარეობა გვაქვს? ამაზე რატომ ხმას არ ვიღებთ? ამის წინააღმდეგ უნდა გაილაშქროს ყველამ – დიდმაც და პატარამაც, ერმაც და ბერმაც. ჩვენს ქვეყანაში განათლების რეფორმა რომ აუცილებელია, ეს დღეს სადაა არაა, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს განათლების სამინისტრო რეფორმის ისეთი პროექტი შემოგვთავაზა, რომელიც ყოველმხრივ ზღუდავს ეროვნული სულისკვეთების საგნების სწავლებას. ჩვენი თანამემამულეების ერთ ნაწილში აშკარად შეიმჩნევა ერთგვარი ნიჰილისტური და მოკიდებულია ყოველგვარი ეროვნული სადმი, საკუთარი ენისა და ისტორიისადმი. სიტყვა „ეროვნული“ თითქმის მთლიანად ამოღებულია ხმარებიდან. „დღეს საზოგადოებრივი ცხოვრების რომელი სფეროც არ უნდა ავიღოთ, – წერს პროფესორი რ. ბაზანივაძე, – ყველგან იგრძნობა, რომ მიდის ტოტალური შეტევა ეროვნულ ტრადიციებზე, მისი დანგრევის, მოშლის გზით“ („დილის გაზეთი“, 2003 წლის 14 იანვარი). ამის ნათელი მაგალითია ის, რომ საქართველო საბჭოთაგან ამოღებულ იქნა ეროვნულობის გრაფა და მოქალაქის მამის სახელი. ქართული სკოლაში უკვე ცალკე საგნად აღარ ისწავლება საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, „მშობლიური ენა“ ქართული ენითაა შეცვლილი იმ მოტივით, რომ არაქართველი მოსწავლეებისათვის ქართული მშობლიური არ არის. ყოველივე ეს იქითკენაა მიმართული, რომ ახალგაზრდობის ფსიქიკიდან სამუდამოდ ამოიშალოს ცნებები „სამშობლო“ და ყოველგვარი მშობლიური.

გლობალიზაციის მსახვერალი თეორიის თანახმად, წერს პროფესორი რ. მიშველაძე, 2010 წლის ეროვნული გამოცემების პროგრამიდან ამოღებულ იქნა ისეთი ნაწარმოებები, რომლებზეც აღიზარდა ქართველ

მაშულიშვილთა არაერთი ეროვნული თაობა. „კერძოდ: ამოღებულია გრიგოლ ბერბელიანის „სადღეგრძელო“ (ისტორიული შედარებისათვის „სხვა საქართველო სად არის“), ამავე ავტორის „პასუხი შვილთა“ (მიზეზი? „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“), ამოღებულია აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“, რადგანაც თავისუფლებისათვის სრულიად საქართველოს ერთიანი ბრძოლის იდეას ქადაგებს... ამოღებულია ნიკო ლორთქიფანიძის „იყიდება საქართველო“ (ამ ჩანახატის დედააზრის თანადროული ჟღერადობის გამო), ამოღებულია მიხეილ ჯავახიშვილის „ჯავახი ხიზნები“ (რადგან იგი ქართველ ერს დროულად აფრთხილებს: ნუ გაიმრავლებ შენს მიწაზე უნებართვოდ შემოხეტებულ სტუმარს, თორემ ერთ მშვენიერ დღეს შენვე გავასახლებს საკუთარი სახლადან), ამოღებულია გალაკტიონის „მამული“ (სტრიქონისათვის „სხვა ხალხის ისმის აქ ყრამული“), პროგრამიდან ამოღებულია ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“ (თურმე ნუ იტყვით, გლობალ-პროგრამისტებს ხელს არ აძლევთ ხევისბერის მიმართვა: „იცოდეთ, სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა და დამარხულა, სადაც მათი ძვლებია ჩაფლული, იმ მიწას გედავებიან და არ დაანებო“) და ბოლოს, ჩვენს ცოცხალ კლასიკოსს, ჭაბუა ამირეჯიბს, მისი ოპოზიციური განწყობისათვის იმით გაუსწორდნენ, რომ პროგრამიდან ამოიღეს „დათა თუთაშხია“ (ცალკეული თავები იყო შეტანილი). „დათა თუთაშხიას“ იდეები ხომ... აბსოლუტურად მიუღებელია გლობალიზაციის მსოფლიო პოლიტიკისათვის“.

თავი ვინ მოგჭრაო და – მამო, სწორედ ასეა ჩვენი საქმე. ის, რაც ვერ გააკეთეს ჩვენმა მტრებმა, ჩვენი ერის შევილებმა იკისრეს. მათ კარგად უწყიათ, რომ ეროვნებადაკარგული და უსამშობლო ადამიანი ერთი და იგივეა. მას არასოდეს შეაწუხებდა ქვეყნის ბედი, მისი ხალხის ჭირ-ვარამი. მაგრამ ჩვენს ოპონენტებს ეს სრულიად არ ანუხებთ. ისინი იშველიებენ იმ არგუმენტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს პასპორტში ეროვნება არ უწერიათ. ჩვენ რომ იგი აღვადგინოთ, ამერიკელებს გავანაცხევებთ და ისინი ჰუმანიტარულ დახმარებას შეგვიწყვეტენ... და, ვინ იცის, კიდევ რას არ ჩამავენ.

არა, ბატონებო, ასე არ ივარგებს. არ შეიძლება ყველაფერში უცხოელების ჭკუით სიარული და მათი ხელის შემყურად ყოფნა. ჩვენი სულიერი მამის, ილია ჭავჭავაძის აზრით, გაჭირვებიდან თავის დაღწევის ერთადერთი გზა მხოლოდ მუხლჩაუხრელი, თავდადებული შრომა და გარჯაა და ამ საქმეში, საკუთარი თავის გარდა, ვერავინ გვიშველის, ვერავინ დაგვეხმარება.

დღეს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების ყველაზე ნაცადი გზა არის მშობლიური ენის მოვლა-პატრონობა და მისი სინამდვილე დაცვა. ამ მხრივ კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა გვაქვს. „ქართული ენა იჩაგრება დღეს ყველგან, – წერს პროფესორი როზა გაბეჩავა, – და თუ დიდი ნიკო ლორთქიფანიძის ერთ მშვენიერ ნაწარმოებს ნაწილობრივ დავესახებთ, ჩაგრავს ყველა: დიდი თუ პატარა, შინაური თუ გარეული, პარლამენტარი თუ მოხელე, ინტელიგენტი თუ ჩარჩი, იჩაგრება ყველგან: თბილისსა თუ გაღმამ, მარნეულსა თუ სამაჩაბლოში, ნინოწმინდასა თუ ასპინძაში. ბარბაროზები, კალკები ივსება თავანკარა ქართული და დღეს არავის სჭირს ყურს ისეთი გამოთქმები, როგორცაა: „დავაცენოთ კენჭისყრაზე“, „გადავიდეთ ისეთ ქვეყნებზე“, „მინდა სწორად ვიყო გაგებული“ და ა.შ.“

აქამდე ჩვენი მშობლიური ენის რუსული ენით დანაგვიანების წინააღმდეგ ვიბრძოდით, ახლა კი ინგლისურმა ენამ ლამის ნალეკოს ჩვენი „ხმათა ხვერდების და ღმერთების ენა“. ამ მოვლენის წინააღმდეგ თავის დროზე ხმა აიმაღლა დიდმა მემედბეგ აბაშიძემ. იგი წერდა: „...ჩვენი ერის მთლიანობის გამოცხადება ენა განიცდის სხვადასხვა უაზრო და უცხო სიტყვათა შემოსევის ხიფათს... თუ ამის საწინააღმდეგო

რაიმე ზომა არ მივიღებთ, ჩვენი ენა თანდათანობით დაემსგავსება ალჟირელთა ენას, რომელიც ლათინურის, იტალიურის, ფრანგულის, ესპანურის და მათი მშობლიური ენის ნარევიცაა.

თუ ჩვენი ალჟირელებივით გულგრილნი ვიქნებით და ჩვენი სიტყვიერების საზღვრების ღიად დატოვებით საშუალებას მივცემთ განუხრელად შემოიპაროს და შემოიჭრას უცხო სიტყვები ჩვენს სიტყვიერებაში, დიახ, ასე თუ იქნება, ალჟირელების ბედის საზღვარზე შევადგებთ ჩვენს ოდესლაც მდიდარს და შინაარსიან მეტყველებას“.

ყოველად გაუმართლებლად მიგვაჩნია უცხო ენის, კერძოდ, ინგლისური ენის სწავლება დაწყებითი კლასებიდან და ისიც სხვა უცხო ენასთან ერთად. „თავი-დანვე რამდენიმე უცხო ენის სწავლება, – წერს პროფესორი რევაზ ბარამიძე, – ყოველ დაუშვებელია. ისე როგორც ჩველი ბავშვი დედის ძუძუთი უნდა საზრდოობდეს და მერე ემატებოდეს ახალი საკვები, ასევე დაწყებით კლასებში მშობლიურს უნდა ენაფეხოდეს, მასზე ინთობილად და მომზადებულს მიემატოს ერთი ან ორი ენა და არავითარ შემთხვევაში მესამე და მეოთხე ენა“.

მისივე აზრით, ახალგაზრდობის უცხოეთში სასწავლებლად გაგზავნა დიდი სიკეთეა, მაგრამ „სულ ციდა ბავშვებს რომ უცხოურ კოლეჯებში აგზავნიან, ეს ეროვნული კატასტროფის მომასწავებელია, ისინი ისე გადაგვარდებიან, რომ სამშობლოში დაბრუნების მოთხოვნილებაც კი არ გაუჩნდებათ“.

ახალგაზრდობის გარყვინისა და გადაგვარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა უცხოური კინოსერიალები, რომლებსაც ახლა მთელი დღე-ღამის განმავლობაში უჩვენებენ ტელევიზიის ყველა არხზე. მათში სექსუალური აღვირახსნილობის გარდა, ვერაფერ სასიკეთოს ვერ ნახავს კაცი. იმ ქვეყნის ახალგაზრდობისათვის სრულიად უცხოა ქართული სიმღერის არსი და შინაარსი: „მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაურიო“, რადგან მათ მეზობელი, ნათესავი, ბიძაშვილი, მამიდაშვილი, ძმალი, მახლი და გერი არ იციან. მათთვის უცხოა ქართველი კაცის ფსიქოლოგია, მისი სინდის-ნამუსი, პატიოსნება. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ჩვენს ქვეყანაში აღენ დაღვინა ნააზრვის რეალიზაცია, ცხოვრებაში გატარება. აი, რას წერს იგი: „ჩვენ დავთესავთ ქაოსს, შეუმჩნევლად შევცვლით ზნეობრივ ფასეულობებს და ვაიძულებთ მოსახლეობას, ირწმუნოს ყალბი ფასეულობები. ლიტერატურიდან, ხელოვნებიდან ჩვენ ამოვიძირკვავთ ეროვნულ-სოციალურ არსს. შემოქმედებით ინტელიგენციას დაუუკარგავთ ხალხის, გამოიკვლიონ და სწორად ასახონ მასების სიღრმეში მიმდინარე პროცესები. ლიტერატურამ, თავტრმა, კინომ, პრესამ უნდა ასახოს და განადიდოს ადამიანთა ქვენა გრძნობები. ჩვენ ყოველნაირად ხელს შევუწყობთ იმ შემოქმედებით ინტელიგენციას, რომელიც ადამიანის შეგნებაში შეიტანს სექსის, ძაღლობის, ლალატის, ბუფობის კულტს“.

ეკონომიკურმა სიდუხჭირამ ისე აგვიხიბია თავგზა, რომ ჩვენი „დაცემული ვინაობის“ (ი. ჭავჭავაძე) აღსადგენად არავის სცალია. არადა, სწორედ ახლაა ის დრო, როცა მთელს საქართველოში განგაშის ზარი უნდა შემოვკრათ და გავავლიოთ ეროვნული თვითშეგნების სული, თორემ შემდეგ ყველაფერი გვიან იქნება.

უპირველესი, რაც ჩვენი ცხოვრების ამ ეტაპზე უნდა მოვიმოქმედოთ, არის ეროვნულ ფასეულობათა დაცვა, რადგან მასში მუდამდებელია ჩვენი ეროვნული არსი, ჩვენი მეობა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ისეთი დიდი კულტურისა და წარსულის მქონე ქვეყანა, როგორცაა საქართველო, შეუიღბოთ ერის უპირველეს ფასეულობებს, მაგრამ საამისოდ დროზე უნდა ვიზრუნოთ, თორემ შემდეგ, როგორც იტყვიან, გვიან იქნება თითოეუ კბენანი. ეს კარგად უნდა შევიგნოს ყველა იმან, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ერისა და ქვეყნის მომავალი.



საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმომადგენლობითი საბჭო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82
ელ. ფოსტა: warmomadgenlobiti@mail.ru

გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 08

ქ.ბათუმი

24 იენისი, 2011 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე 2011-2012 წლებისათვის სწავლის საფასურის ოდენობების განსაზღვრის თაობაზე

„უმალესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონის მე-18 მუხლისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ა

დამტკიცდეს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე 2011-2012 წლებისათვის სწავლის საფასურის ოდენობები (დანართი 1);

უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე სტუდენტებს რსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2011 წლიდან სწავლის საფასურის ოდენობები განესაზღვროთ ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით აშშ (ამერიკული) დოლარის ექვივალენტი ლარებში;

სასწავლო დისციპლინის განმეორებით გაკლისათვის 2010-2011 სასწავლო წლიდან ერთი კრედიტის ღირებულება განისაზღვროს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის წლიური ოდენობის 60 კრედიტზე განაყოფით.

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის ოდენობების განსაზღვრის შესახებ“, რსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 16 ივლისის #03 გადაწყვეტილება;

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. #52);

გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს რსუ-ს ვებ-გვერდზე და გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“;

გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი

ს. ქაშიბაძე

ფაკულტეტის დასახელება: საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი

სწავლების დონე	სპეციალობა	სწავლის საფასურის ოდენობები (ლარებში)						
		I კურსი 2011-2012 სასწ. წლიდან	II კურსი 2010-2011 სასწ. წლიდან	III კურსი 2009-2010 სასწ. წლიდან	IV კურსი 2008-2009 სასწ. წლიდან	V კურსი 2007-2008 სასწ. წლიდან	VI კურსი 2006-2007 სასწ. წლიდან	
პროფესორული	სამოქალაქო მშენებლობა	-	1500	1000	-	-	-	
	ელექტროენერგეტიკა და ტელეკომუნიკაცია	-	1500	1000	-	-	-	
	ინფორმაციული ტექნოლოგიები	-	-	-	-	-	-	
	ქიმიური (ნავთობისა და გაზის) ტექნოლოგია	-	1500	-	-	-	-	
	სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების ექსპლუატაციის ოპერატორის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა (მეოთხე საფეხური)	1500	-	-	-	-	-	
	ელექტროამბრავისა და ელექტრომომარაგებელი დანადგარების ოსტატის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა (მეოთხე საფეხური)	1500	-	-	-	-	-	
	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCAD) ოპერატორის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა (მეოთხე საფეხური)	1500	-	-	-	-	-	
	სპეციალისტის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა (მეოთხე საფეხური)	1500	-	-	-	-	-	
	ნავთობისა და გაზის მუშაობის ტექნიკის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა (მეოთხე საფეხური)	1500	-	-	-	-	-	
	არქიტექტურ-ტექნიკოსის (გრაფიკოსი) მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა (მეოთხე საფეხური)	1500	-	-	-	-	-	
პროფესორული	მშენებლობის მწარმოებლის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა (მეოთხე საფეხური)	1500	-	-	-	-	-	
	სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების ექსპლუატაციის ოპერატორი (მესამე საფეხური)	1000	-	-	-	-	-	
	ელექტროამბრავისა და ელექტრომომარაგებელი დანადგარების ოსტატის (მესამე საფეხური)	1000	-	-	-	-	-	
	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCAD) ოპერატორი (მესამე საფეხური)	1000	-	-	-	-	-	
	ავტომობილის ზეინჟინრო მესამე საფეხურის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	1000	-	-	-	-	-	
	სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი (მესამე საფეხური)	1000	-	-	-	-	-	
	ნავთობისა და გაზის მუშაობის ტექნიკოსი (მესამე საფეხური)	1000	-	-	-	-	-	
	რკინა-ბეტონის სამშენობლო მწარმოებლის (მეორე საფეხური, მეტალბე, მებეტონე) მესამე საფეხურის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	1000	-	-	-	-	-	
	ბაკალავრული	სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა	2000	1500	1500	1500	-	-
		გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა	2000	-	1500	1500	-	-
ტელეკომუნიკაცია		2000	-	1500	1500	-	-	
ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია		2000	-	1500	1500	-	-	

სწავლების დონე	სპეციალობა	სწავლის საფასურის ოდენობები											
		I კურსი		II კურსი		III კურსი		IV კურსი		V კურსი		VI კურსი	
მაგისტრატურა	სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა	2250	-	2250	-	-	-	-	-	-	-	-	-
	გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა	-	-	2250	-	-	-	-	-	-	-	-	-
	ტელეკომუნიკაცია	2250	-	2250	-	-	-	-	-	-	-	-	-
	ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია	2250	-	2250	-	-	-	-	-	-	-	-	-
	ელექტროენერგეტიკა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
	ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია	-	-	-	-	-	2000	-	-	-	-	-	-
	ელექტროენერგეტიკა	-	-	-	-	-	2000	-	-	-	-	-	-
	სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა	-	-	-	-	-	2000	-	-	-	-	-	-
	გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა	-	-	-	-	-	2000	-	-	-	-	-	-
	სასურსათო ტექნოლოგია	-	-	-	-	-	2000	-	-	-	-	-	-

შენიშვნა:
1. დოქტორანტი იხდის სასწავლო კომპონენტის (არანაკლებ 60 კრედიტი) ათვისებისათვის 2250 ლარს პირველივე სასწავლო წელს

ფაკულტეტის დასახელება: სოციალურ მეცნიერებათა, ზიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი

სწავლების დონე	სპეციალობა	სწავლის საფასურის ოდენობები (ლარებში)					
		I კურსი 2011-2012 სასწ. წლიდან	II კურსი 2010-2011 სასწ. წლიდან	III კურსი 2009-2010 სასწ. წლიდან	IV კურსი 2008-2009 სასწ. წლიდან	V კურსი 2007-2008 სასწ. წლიდან	VI კურსი 2006-2007 სასწ. წლიდან
პროფესორული	ქურნალიტიკა (მე-3 საფეხური)	600	-	-	-	-	-
	სამართალმცოდნეობა	2250	2250	1750	1500	-	-
ბაკალავრული	ევროპის ინტეგრაცია-საერთაშორისო ურთიერთობები	-	2250	1750	1500	-	-
	ქურნალიტიკა	-	-	-	-	-	-
	ფინანსები-საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე	2250	2250	1750	1500	-	-
	სამულალტრო აღრიცხვა, საგადასახადო	2250	2250	1750	1500	-	-
	მენეჯმენტი და ადმინისტრირება	2250	2250	1750	1500	-	-
	მარკეტინგი	2250	-	-	-	-	-
	ზიზნესის ორგანიზაცია და მართვა	-	2250	-	-	-	-
	ფსიქოლოგია	2000	2250	1750	-	-	-



ფაკულტეტის დასახელება: განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი

Table with columns for 'სწავლების დონე' (Level of Education) and 'სპეციალობა' (Specialty). It lists various specialties like 'ინფორმაციული ტექნოლოგიები' and 'კომპიუტერული ტექნოლოგიები' with their respective funding amounts across six periods (I to VI).

Table with columns for 'სწავლების დონე' (Level of Education) and 'სპეციალობა' (Specialty). It lists specialties like 'მათემატიკა' and 'ფიზიკა' with their respective funding amounts across six periods (I to VI).

Table with columns for 'სწავლების დონე' (Level of Education) and 'სპეციალობა' (Specialty). It lists specialties like 'რადიოფიზიკა' and 'ეკოლოგიური ბიომორფოლოგია' with their respective funding amounts across six periods (I to VI).

შენიშვნა: 1. დოქტორანტი იხდის სასწავლო კომპონენტის (არანაკლებ 60 კრედიტი) ათვისებისათვის 2250 ლარს პირველივე სასწავლო წელს

Table with columns for 'სწავლების დონე' (Level of Education) and 'სპეციალობა' (Specialty). It lists specialties like 'სამედიცინო რადიოლოგია' and 'თერაპიული სტომატოლოგია' with their respective funding amounts across six periods (I to VI).

შენიშვნა: 1. სამედიცინო რადიოლოგიაზე (სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი) მიუღი სასწავლო პროგრამის გადასახადი შეადგენს ერთ რეზიდენტზე 6600 ლარს 2. თერაპიულ სტომატოლოგიაზე (სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი) მიუღი სასწავლო პროგრამის გადასახადი შეადგენს ერთ რეზიდენტზე 5500 ლარს 3. ორთოპედიული სტომატოლოგიაზე (სწავლის ხანგრძლივობა 17 თვე) მიუღი სასწავლო პროგრამის გადასახადი შეადგენს ერთ რეზიდენტზე 8500 ლარს


Table with columns for 'სწავლების დონე' (Level of Education) and 'სპეციალობა' (Specialty). It lists specialties like 'მასწავლებლის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამა' and 'ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა' with their respective funding amounts across six periods (I to VI).

ფაკულტეტის დასახელება: სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი

Table with columns for 'სწავლების დონე' (Level of Education) and 'სპეციალობა' (Specialty). It lists specialties like 'აგრონომია' and 'აგროინჟინერია' with their respective funding amounts across six periods (I to VI).

ფაკულტეტის დასახელება: ტურიზმის ფაკულტეტი

Table with columns for 'სწავლების დონე' (Level of Education) and 'სპეციალობა' (Specialty). It lists specialties like 'სასატურო საქმიანობები' and 'ტურიზმი' with their respective funding amounts across six periods (I to VI).



კავკასიოლოგთა მეორე საერთაშორისო კონგრესის მასალები

2010 წლის 9-12 ნოემბერს, თბილისში, გაიმართა კავკასიოლოგთა მეორე საერთაშორისო კონგრესი, რომლის თემა იყო „კავკასიური ცივილიზაცია- ისტორია და თანამედროვეობა“.

ე. ავალიანი თავის სტატიებში აშუქებს კავკასიის და მცირე აზიის ისტორიის მკვლევარის, ბრიტანელი მეცნიერის დიპლომატისა და ბიზნესმენის ვილიამ ედუარდ დევიდ ალენის ნაშრომს „The Caucasian Borderland“.



შესავალი ქრისტიანობაში

ვარული საზოგადოების წევრები იყვნენ: დუგლას ფრეშფილდი, ლორდ ბრაისი, ჯონ ბედდლი, ჰეინრიხ ლინჩი. 1937 წელს ალენისა და ოლივერ უორდროპის მეცადინეობით დაარსდა საქართველოს ისტორიული საზოგადოება და გამოიცა პერიოდული ჟურნალი „გიორგიკა“.

ქ. ავაქიძე წარმოგიდგინებს ძველი კოლხური კერამიკის ახალ ქრონოლოგიას და მის საწყის პერიოდს უკავშირებს ძვ.წ. მე-18 საუკუნეს. იგი კოლხური კერამიკის ჩამოყალიბების ადგილად მიიჩნევს დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილს.

ნ. ახვლედიანი განიხილავს კერძო კოლექციებში დაცულ დოკუმენტებს, რომლის საფუძველზე წარმოაჩენს აჭარაში თურქეთისა და რუსეთის კოლონიალურ პოლიტიკას.

ს. ბახია-ოქრუაშვილი განიხილავს ოსეთში ქორწინების დროს ქალის შესასყიდი საფასურის „ირადის“ საკითხს. რაც უფრო ძლიერი გვარისა იყო გასათხოვარი ქალი, სასიძოს მით მეტი „ირადის“ გადახდა უწევდა.

მასალის არსებობა კავკასიაში აიხსნება ვაჭრობითა და კულტურული გავლენით. მკვლევარი იმონებს 1956 წელს აზერბაიჯანში (ყაზახი) სარიტყვეს გათხრის შედეგებს, ასევე კახეთის გუმბათის სასახლის და დასავლეთ აზერბაიჯანში ყარაჯამირლის ხუროთმოძღვრულ კომპლექსს, რომლებიც ტიპური სპარსულ-აქემენიდური ნაგებობებია.


ახალი ნიშნები

ქართულ ენაზე გამოიცა იოზეფ რატციგერის „შესავალი ქრისტიანობაში“. იგი მოიცავს ლექციებს სამოციქულო სიმბოლოს შესახებ.

ნაჩუქარი ნიშნები


ბათუმის ილია ჭავჭავაძის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ საჩუქრად მიიღო თბილისის დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული პროფესორ მასნავლეხელთა და სტუდენტთა კონფერენციის მასალები.

ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის პროფესორმა, ჟუჟუნა ფეიქრიშვილმა სამეცნიერო ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოსცა მისი ნაშრომი „ზუბალაშვილები ეროვნული მრეწველობისა და მეცენატობის სათავეებთან“.



დასაფლავებდნენ ეკლესიაში. რუსეთის სინოდმა დაარღვია პირობა და სტეფანე ზუბალაშვილი არ დასაფლავა მის მიერ აშენებულ ეკლესიაში.

მოამზადა მირაზ მებრელიშვილმა



რედაქტორი: იოსებ სანიკიძე
საუბრალობა: ნესტან მამუჭაძე



სარედაქციო კოლეჯი: იური ბიბლიოთეკის ბიჭიკო დინასიძე
ამაია ფალავა
ნანა ცხატარაძე
მერაბ მებრელიშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შპს „პრაპრინტში“
[832] 93-46-14, 99-98-82
მის: ქობილისი
რუსთაველის 40-40ა